



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

JANVIER

1933—№ 85

ი ა ნ ვ ა რ ი

1933 წ.

№ 85

დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მკთაუმი—საბჭოთა კავშირის მეათე წლის თავი.
რ. ინგილა—«მინც ბრუნავს».
გაკი—რუსეთის რევოლუცია და ნაც. საკითხი.
მ. მუსხელიშვილი—საკონფ. ხელისუფ. ორგანიზ.

დამხსნე—კავკასიელთა შორის.
ალფა—ოცნება და სინამდვილე.
ეროვნული მოძრაობა მაკმადიანთა შორის.
საქართველოს ამბები და სხვ.

ს ა ბ ზ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს მ ე ა თ ე წ ლ ი ს თ ა ვ ი

ბოლშევიკებმა იდღესასწაულეს საბჭოთა კავშირის დაარსებიდან მეათე წლისთავი. მათ პრესაში პტყელი ასოებით მოთავსებულია სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებმა გადასურეს ერთხელ და სამუდამოთ ეროვნული კითხვა, მოსპეს ერთა შორის შუღლი და ბრძოლა და გაუსწრეს ამ მხრივ ბურჟუაზიულ ქვეყნიერებას.

სტალინს მართლა შეუძლია თავი მოჰქონდეს, ის იყო სწორეთ ეროვნებათა კომისარი, რომლის სახელით შეითხზა, ათი წლის წინ, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტი. თვით იდეა კავშირისა ამიერ-კავკასიის ფედერაციიდან მოდიოდა—აცხადებს სტალინი წარბმუხსრელათ, თითქო ვისმესთვის საიდუმლო იყოს მოსკოვის თვალთმაქცი როლი.

ეს ის დრო იყო, როცა ლენინი და მისი ამაღა ჯერ კიდევ ერიდებოდენ ერის უფლებების აშკარა შელახვას, ანგარიშს უწევდენ უცხოეთის აზრს და მორცხვათ ხელს აფარებდენ წითელ ჯარების განაპირა ერებზე შესევას და გაბატონებას. გაიხსენეთ, როგორ ირყეოდა ლენინი საქართველოს შესახებ, წინამდევცი კი იყო მის დაპყრობის ასე ნაადრევათ—ხელშეკრულების დადებიდან ათი თვეც არ გასულიყო—და ამისთვის დასუირდათ სტალინს და ორჯონიკიძეს გლებთა აჯანყების მოგონება ბორჩალოში, ან კიდევ ქართველების მიერ წითელი ჯარის მოწვევა!

ყველა ეს დოკუმენტალურათ დამტკიცდა ცოტახნის შემდეგ. დამტკიცდა ისიც, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციაც მოსკოვის საქმე იყო, ქართველი ბოლ-

შევიკები ებრძოდენ მას, კავშირში უშუალოთ შესვლას მოითხოვდენ და თვით ლენინს იწვევდენ მსაჯულად. შედეგიც ვიცით: საქართველოს «მთავრობა» და ცეკა დაფერთხეს, ურჩინი განდევნეს და მათ მაგიერ სხვები დანიშნეს.

ეს კომედია-ფარსი ბოლშევიკებმა დასავლეთშიც გაითამაშეს. 1922 წ., ლოზანის კონფერენციის დასაწყისში, მათი დელეგატი ჩიხერიანი მოითხოვდა საქართველო და უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩარიცხეთო, ხოლო 1923 წ., კონფერენციის ბოლოს, მის ლექსიკონიდან ამოვარდა ეს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო, და ესლა მხოლოდ კავშირის სახელით ლაპარაკობდა. მართალია, დასავლეთი ვერ გააცურვეს ამ უშნო ფარსით, საქართველოს სახელით არ ალაპარაკეს ჩიხერიანი და მისი ყმა ბუღუ, არც რუსეთის მაგიერ კავშირი ჩააწერიანეს, მაგრამ... როგორ გამოიცვალა მას აქეთ სურათი, როგორ გაშიშვლდნენ!

დიან, ერის უფლებებზე ესლა ხსენებაც არ არის, ვინ ჩივის უფლებას, როცა თვით სიცოცხლეც ძაფზე ჰკიდია! სასტიკი ცენტრალიზაცია მმართველობის, მეურნეობის, ყოველი დარგის, მაგრამ ეს ცოტაა, ვინ ზის ცენტრში, ვინ განაგებს, ვინ ბატონობს? არა პარლამენტი, რა თქმა უნდა, არც მთავრობა, მის წინაშე პასუხისმგებელი, არამედ დიქტატორი. სახელით არსებობენ საბჭოთა ყრილობა, აღმასრულებელი კომიტეტი, თვით ეროვნებათა საბჭოც, საქმით არამც თუ ესენი, პოლიტიუროც არაფერია გეპეუ-

სთან შედარებით და სტალინიც დიქტატორია იმდენათ, რამდენათ ის ამ ჯოჯოხეთურ ორგანიზაციის დიდი ქურუმი.

გვებუეს შემოაქვს ეხლა მთელი კავშირისთვის ერთფეროვანი პასპორტი, სადაც ჩაიწერება მოქალაქის ვინაობა, ყოფილი, დახასიათება მამის, ბაბუის, პაპის. ერთის სიტყვით, თვითეული მოქალაქე ვალდებულია ჯიბით ატაროს თავის განჩინება, რადგან ძვირათ აღმოჩნდება ისეთი, რომლის წინაპართ, თუ თვითონ არა, რაიმე ბრალი არ მიუძღოდეთ გაბატონებულ დოგმების წინაშე,—და ამ შემთხვევაში მას მოესპობა მუშაობის, სამსახურის, აქედან ლუკმა-პურის უფლება. ამ დროს ეროვნულ, თუ გინდ ინდივიდუალურ თავისებურების შენარჩუნება მეტ ბარგად არის ჩათვლილი. იმავე დროს მოსკოვი, სიმშობისგან ალყა შემოარტყმული, სარგებლობს ახალ პასპორტს იმისთვის, რომ გარეკოს დიდი ცენტრებიდან მეტი ხალხი. ასეა, როცა ხომალდი იძირება, მეტ ბარგს ზღვაში გადაყრიან ხალხმე.

რუსეთის შეუსაბამობა ყოველთვის იმაში გამოიხატებოდა, რომ, ერთის მხრით, ხალხი მონობასა და სიბნელეში იმყოფებოდა, ხოლო, მეორეს მხრით, გაბატონებული ბიუროკრატია, გადმოქონდა რა მას უცხოეთიდან ტექნიკური საშუალებანი და ადმინისტრაციული წესები, იყენებდა მათ ხალხის კიდევ უფრო მაგრათ შესაბამეთ. ამით აიხსნება ის უცნაური მოვლენაც, რომ ბოლშევიკური ბიუროკრატია, წინანდელზე გაცილებით უფრო უხეში და რეგენი, «ვიგანტებს» აშენებს, მაშინ როდესაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია. სტალინის ბაქიობა ევროპა-ამერიკის გასწვრივანე სისულელეა, მაგრამ ერთში მართალია: გვებუ თავის ტექნიკით და ბარბაროსული პრაქტიკით ძალიან შორს სტოვებს სხვა ქვეყნებს.

მაშასადამე, დასმულია კითხვა არა ეროვნულ თავისუფლების, არამედ ეროვნულ არსებობის: სტალინი არც კი მალავს, რომ ერი თავის თავათ მიზანი არ არის, «სოციალიზმის» განხორციელება ერთა გაქრობით, ერთმანეთში გათქვეფით უნდა დამთავრდეს, და ამით ხსნის ის, რომ საბჭოთა კავშირს ტერიტორიულ სარგებები არა აქვს, რათა ახლათ გასაბჭოებულ ერებს შეეძლოთ შიდ შესვლა.

ამის შემდეგ მოდიოთ და დაუჯერეთ მოსკოვიტებს, რომ მათ გადასურეს ეროვნული კითხვა! თუ გნებავთ, გადასურეს, მაგრამ წინა-უკმო, რომ ერთი მთლათ აღგავონ დედა-მინის ზურგიდან! რასაკვირველია, რუსის ერის სადღეგრძელოთ, რადგან გათქვეფა ფაქტიურათ რუსის ერში უნდა მოხდეს, «ლე-

ნინის ენა», რომელზედაც დაიწერა მათი სახარება,— აი რა უნდა გაბატონდეს სხვა ენებზე. რაც შეეხება გონებრივ საზრდოს, მწერლობას, პოეზიას, თვით მეცნიერებას,—ესენი უნდა კპოვებდენ თავის გამართლებას ბოლშევიკურ დოგმებში, ემსახურებოდენ ხელისუფლებას. მის სისხლიან პოლიტიკას.

აქედან აშკარაა, რა დიდი ხიფათის წინ სდგანან არარუსის ერნი, მტერი ლამობს, ეკონომიურ განადგურებასთან ერთათ, სულიერათ გადააშენოს ისინი, გადააგვაროს. ბოლშევიზმი მოასწავებს ბატონობას სულზე და ხორცზე. ის არ კმარობს მარტო გარეგნულ მოჩილებას, ბრძანების ასრულებას, უნდა გახდეს ახალი სარწმუნოების აქტიური მიმდევარი, მისი გამტარებელი ცეცხლითა და მახვილით.

ხედმეტი იმაზე ლაპარაკი, როგორ პირობებში იზრდება ახალი თაობა, როგორ იწამლება. დაბადებული ოკუპაციის შემდეგ, მოკლებული ეროვნულ სკოლას, თვით ოჯახის გავლენას. ის მოწყვეტილია ახლო წარსულსაც, არ იცის რა ხდება კავშირის გადაღმა, ჰგონია ქვეყანა ასე გაჩენილა და ითვისებს ერისთვის დამღუპველ ზნესა და ჩვეულებას.

განსაცდელი დიდია, საჭიროა გაბედულათ შეეხედოთ მას თვალში, მაგრამ, ნუ დაივიწყებთ, ერის ძალა და თვითშენახვის უნარი კიდევ უფრო დიდია. ამდენი წლის გაუგონარმა ჩაგვრამ და მასთან ბრძოლამ ისე გაასალკლდევა ერი, ისე აღამაღლა სულით, რომ მისი გატეხვა მიუწდომელი ოცნებაა მტრისათვის.

არასდროს ისე მკაფიოთ, ისე მწვავეთ არ დასმულა ეროვნებათა კითხვა საბჭოთა კავშირში, როგორც დღეს. ამას ვერ მალვენ მტარვალნი, პირიქით, სტალინი დიდ ადგილს უთმობს ბრძოლას ეროვნულ «შოვინიზმთან», რომელიც შექრილა თვით არარუს კომპარტიებში და ხიფათში აგდებს «გენერალურ ხაზს». ის მოითხოვს ხელმძღვანელ ორგანოების დაუზოგველ გაწმენდას «ნაციონალისტურ» ელემენტებისაგან. მართლაც, ისე არ გაიარს თვე, რომ ხან იქ, ხან აქ, არ გარეკონ ცეკა, სშირათ კომუნისტები, «ეროვნულ გადახრისთვის», ეტაპებში ხვდებიან და იგზავნიბიან გაყინულ ჩრდილოეთში.

ამიტომ თვალთმაქციობის ხანა ჯერ არ განვლილა, მოსკოვი თავის იმპერიალისტურ და კოლონიალურ მისწრაფებათა დასამალავათ ჯერ კიდევ არ აუქმებს ვერ. წოდ. რესპუბლიკებს, მათ მთავრობებს, სშირათ «დამოუკიდებელს» უწოდებს მათ, რომელნიც «თავის ნებით» შევიდენ კავშირში და შეუძლიათ გავიდენ, როცა «მოესურვებათ»!

ეს ტერმინები, მოკლებული ყოველ აზრს და შინაარსს, ბადებს შეურიგებელ წინამდევობას სიტ-



ყვასა და საქმეს შორის. აღიზიანებს და აქეზებს ერებს უფრო ენერგიულ ბრძოლისთვის ნამდვილ და არა სიტყვიერ დამოუკიდებლობის მისაღწევათ. ხშირათ მომხდარა ჯერ კიდევ მტრის ბანაკში, რომ არარუს რესპუბლიკათა წარმომადგენელნი სოლიდარულათ გამოსულან ეროვნებათა საბჭოში, მოსკოვში. ესაა მიზეზი, რომ ეროვნებათა საბჭო ასე ძვირათ იკრიბება, უკანასკნელათ სულაც არაა მისი ხსენება.

სოლიდარობა და კავშირი ჩაგრულ ერთა არა მარტო ბუნებრივია, აუცილებელიც და ნაკარნახევი მწარე გამოცდილებით. თუ გავიხსენებთ, რომ არარუსნი რუსებს უდრიან რიცხვით, მეტია მტკიცება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ერთსულოვან მოქმედებას, ერთათ დარაზმვას. ეს მისწრაფება ინსტიტუტურათ გზას იკვლევს ადგილობრივ. ემიგრაციაში შეგნებულათ ანადღებენ მას კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის პატრიოტნი, აქვთ ამისათვის პრესა და სხვ.

რაც შეეხება სპეციალურათ კავკასიის ერებს, ისინი, რამდენიმე წელია, ჩამბული არიან ბრძოლაში და იქ იქედება მათი მომავალი სტატუსი. როგორი იყო მტრის მეთოდი? მან ჯერ ფეხით გასთელა კავკასიის თვითეულ ერის დამოუკიდებლობა და მერმე მონად ქცეული ერები შერყვა ფედერაციაში და კა-

ვშირში. როგორია ჩვენი მეთოდი? საერთო ძალით თვითეულ ერის დამოუკიდებლობის აღდგენა და შემდეგ ყველა მათი უზენაეს ნებისყოფით კავკასიის კონფედერაციის შექმნა. საქართველოს საზღვარგარეთელმა ცენტრმა უკვე გამოიმუშავა კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტი, მას შეუერთდნენ აზერბეიჯანელნი და მთიელნი, ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა ეს პროექტი, აქვეყნებს განმარტებით წერილებს.

ჩვენ გვაქვს უკვე ცხოველი გამოხმაურება სამშობლოდან, კონფედერაციის იდეა ფეხს იკიდებს ადგილობრივ, ხდება მისი პოპულიარიზაცია, რაიცა თავდება მისი პრაქტიკულათ განხორციელების.

მაშ ასე, მეათე წლის თავზე მტრის მიერ შექმნილი ეგრ. წოდ. კავშირი, თვით მისი მოწმობით, დიდ კრიზისს განიცდის, მისი დაშლა მხოლოდ დროის კითხვაა, მაშინ როდესაც ჩაგრულნი ერნი იპყრობენ ახალ პოზიციებს სრული დამოუკიდებლობის გზაზე.

დიდია კავკასიის როლი ამ განმათავისუფლებელ ერტვულ ბრძოლაში; ღერძი ამ ბრძოლისა, ბელადი და სულისჩამდგმელი, გეოგრაფიული მდგომარეობით, ტრადიციებით და გამოცდილებით, იგივე საქართველოა, ჩვენი სამშობლო.

„მ ა ი ნ ც ბ რ უ ნ ა ვ ს“

იპედიან მეზობელთ.

გავიდა საუკუნოებში კიდევ ერთი წელიწადი—მძიმე, ქუში, მწყვდიადი. ასე ვამბობთ ჩვენ, ისინი ვინც რუსის უღელქვეშ მგმინავ საქართველოსა გლოვობენ და მის აღსადგენად იღვწიან, თორემ ზოგიერთათვის წასული ქათმადენა მსუბუქი, მოლიმარი, კაშკაშია გამოდგა.

1932 წელმა ქართველ საქმისათვის ან სულ არ მოიცალა, ან და პირიქით მის საზიანოთ ბევრი რამ მოიმოქმედა. ხალხთა და სახელმწიფოთა არევდარევა მჯერეთ უნახავი უკიდურესობით იჩინა თავი; უჩვეულო გარემოებებმა შთახტქეს პოლიტიკურ მოღვაწეთა მთელი ენერჯია; ზოგჯან-კი სადღესასწაულო და ამათუიმ მოგონებათა თარიღებმა ისეთი ჯურის სათეატრო გარეგნობა მიიღეს, რომ ამ სანახაობათა გარეშე სახელმწიფოს მმართველთა გულისყური ერთავად დაგულული იყო.

ასე მივიწყებული საქართველოს საკითხი არადღეს წანათ ყოფილა.

გამონაკლისს მხოლოდ სიბუთთა რუსეთი წარმოადგენდა, რომლის საგაოეო ხმაურობა და ჩოჩქოლი მთელი ამ წლის განმავლობაში იმას მოჰხმარდა, რომ კიდევ ერთხელ ჩაეცა მახვილი შეურიგებელ ერისათვის მის საგარეო პატივის აყრის სახით.

ესლა ვილამ არ იცის, რომ ბოლშევიკურ რუსე-

თის პრესტიჟს სახელმწიფოებთან მიმართებაში ყველაზე მეტად «საქართველოს საკითხი» ჰვნებდა: არა ყოფილა შემთხვევა რომ კომუნისტების დელეგატი, თუ ებრვე სხვა დამქაში სადმე გამოსულიყო და მოქარგული ფრაზებით რუსეთის მშვიდობიანობისა და სათნოებაზე «ელაღანა», რომ მყისვე ვისმე არ მიეხალა მატყუარა თავხედისათვის: მაშ რათ დაიპყრეთ საქართველო?!

არც ჩვენსა, არც ასიათასობით ხალხის ელექტასა და არც სხვა უთვალავ ჰარამხადობასა ისე არ აღუშფოთებია კაცობრიობა, როგორც ბოლშევიკების საქართველოზე თავდასხმას. ვერავითარმა ლათაიებმა ვერ წაშალეს მოსკოვის კომისრების სქელკანიან შუბლზე ამოკვეთილი დაღმა! კომუნისტების ავაზაკური საქციელის მიჩქმალვა ვერ იღონეს ვერც შინალოქიების კალმის წრიპინმა, ვერც ქვეყნად მიმობნეულმა შესყიდულ გარელაქიებმა, ათი წელიწადი წელეებზე რომ ფეხს იდგამენ, რათა აქონ და ადიდონ საბუთთა კავშირის კეთილგანწყობილება ქართველ ერისადმი, რომელმაც მოსკოვის წითელი ჯარის მოხმობით დაბოლოს თურმე თავს უშველა «მენშევიკური მთავრობის» მტარვალობისაგან: შიგნით მეზობელი და გარეთ მთხრობელი საქართველო ამ უნამუსო ყბედობას ამხელს და აბათილებს.

რამდენადაც ბოლშევიკებისათვის იქ—დაპყრობილ საქართველოში—დიან ადვილი მოსახერხებელია უცხო ქარაფშუტა მოგზაურებს მოსკოვისათვის სახეირო მანიფესტაციები მოაჩვენონ, იმდენად ასეთივე ეფექტის მოხდენა ვეროპაში გაძნელებული არის. აქ მოსკოვის აბდაუბდასა და ჭორებს აბნევს უთანასწორო ომში დამარცხებული, ხოლო იარაღ-აყრილი შეუპოვარი ნაციონალი საქართველო: მისი მთავრობა, მისი საელჩო, მისი სარდლობა, მისი პარლამენტი და პოლიტიკური მოღვაწენი. ამ სარბიელზე ბრძოლა ბოლშევიკებისათვის მთელი ათი წლის მანძილზე სამარცხვინო ფორმებში ისახებოდა. ეს გარემოება მათ ერთნაირად რეტსა ჰგვრიდა, და განა რომ მისახვედრია მათი მოუსვენარი ნარვი-ულბა და ის ექსტრანომები, რომელთა საშუალებით საქართველოზე ხმის ამოდლები უნდა ჩამკვდარიყო ყოველგან და ყოველთვის.

«ქრთამი ჯოჯოხების ანათებს». მართლაც, სად ჩვენა და სად ბოლშევიკები?! სად მათი ნივთიერი სახსარი და სად ჩვენი აუწერელი სილატაკე?! სად მათი სახელმწიფოებრივ ატრიბუტებით გამაგრებული მდგომარეობა და სად ჩვენი ყველგან ათვალისწინებული «ექსპატრიობა»? მოსკოვი მეტყველებს და მოქმედობს თავის იმპოზანტობითა და უმეტესად ქისით, ჩვენ ხელთ კი მხოლოდ და მხოლოდ იდეა და კეთილშობილი აღმფრენაა!.. და იციო რა? ამ შემთხვევაში ქრთამიც ვერ გაჰკრა, და მოსკოვის ოქროს ქლარუნი ქართულმა «ქვათა ლაღდმა» ჩაახშო!

ამბობენ, ომის შემდგომ პატიოსნება და საზოგადოთ მორალი დაქვეითდა, ხოლო ხალხთა ურთიერთობაში პირწავარდნილ მერკანტულ პოლიტიკას ჰხვდა უსახდერო ბატონობაო. ამ სოციალი პიქილოგიის ნაგარაუდებმაც მეტწილად დაინდო ქართული პრობლემა მასში იდეური და ხნეობრივი მომენტის შეტანით. ეს კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ. აქ ჩვენი სიმბაგეა და სწორეთ ამით არის რომ ვცემთ უზნეო მტერს...

მაინც ბევრი რამ გვავნო და ბევრი ჯავრიც შემოგვყარა გასულმა წელმა! სხვა მოვლენათა შორის ჩვენთვის ყველაზე საზარალოთ უნდა ჩაითვალოს პოლონეთ-რუსეთ შორისა და განსაკუთრებით საფრანგეთ-რუსეთ შორის დადებული ვერეთ წოდებული თავდაუსხმელობის პაქტი. მისი არსება სხარტულად დახატა «დამოუკიდებ. საქართ.»-ის ქრისტიანობისთვის ნომერში ევგენი გეგეჰკარმა. ვიცით,

რომ პოლონეთსაცა და საფრანგეთსაც უყვართ და რა თქმა უნდა, ენანებათ შებორკილი საქართველო. ეს ბოლშევიკებისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს. ვარნა ზემოდასახელებულ ხელშეკრულობათა სიმძიმის ცენტრი სრულებით სხვაგან იხრება. სწორეთ არის გაგებული საგანი. თუ შეცდომით, ჩვენ ამის განხილვაში ვერ შევალთ. აწეწილ დაწეწილ საერთაშორისო ცხოვრებისაგან არაერთი და ორი არის მოსალოდნელი ამგვარი «საჩუქარი». ისიც უნდა ითქვას, რომ დიპლომატების ხრიკები მალამოთ ვერ დაედება დაავადებულ ქვეყანას. ინტრიგული ბრძოლა კი უფრო რთულდება და იხლართება. ევროპის ხარჯზე სხვა იგებს. თქმულა: ვინ ალალო იძახა და ვინ მწყერი დაიჭირაო...

გადაეშვა აქოთებული წელიწადი. რას უნდა მოველოდეთ ახლისაგან? რას მოუტანს «მეკვლევი» ტყვედქმნილ საქართველოს? უნდა გვეხსოვდეს, რომ ჩვენი საკითხი არ გადაჭრება ცალკე, ასე ვთქვათ, ეპიზოდურათ, საერთაშორისო კომბინაციებისაგან დამოუკიდებლივ. საქართველოს საკითხი საერთაშორისო უფლების საკითხია. საქართველოს სახელმწიფოებრიობა ყველათაგან ცნობილია. მის სუვერენულ უფლებებს პატივით ჰმოსავს განათლებული კაცობრიობა. «როგორ შეიძლება საქართველოს სახელმწიფოებრიობის უარყოფა—სთქვა ამას წინათ ერთმა იტალიელმა პოლიტიკოსმა—ეს ხომ ისტორიული უვიცობა იქნებოდაო».

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა—ეს ევროპაში ნორმალურ პირობების დამყარებას ნიშნავს.

ორი სახე აქვს ქართველი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას: ერთია გარესახე და მისი წარმატებითი სვლა მრავალ ისეთ გარემოებებზე არის დამოკიდებული, რომლის სათავენი ბევრს შემთხვევაში ჩვენ ხელთ არ არის; საქართველო აქ მოწმეა, პასრთა და ამბავთა მთხრობელი. ისევე, როგოც შილდერის ზღაპრის წეროები, ჩვენც მიმოვფრინავთ კილით-კიდედმე, ქართლის სევდიანი ბედის მთქმელნი... მეორეა შინასახე—ეს თვითონ საქართველოა, მისი მებრძოლი გუნდები; აქ კი ყოველისფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს შემტკიცებასა და ერთობაზე!

გზა ფართო და დაუბრკოლებელი ამ ორთავე სახის კეთილად წარზიდვისათვის—ეს ვუსურვოთ ჩვენს სამშობლოს 1933 წლის დამდევს!

ბ. ინგილი.

რუსეთის ჩვეოლუსია და ნაციონალური საკითხი

ერთი უდიდესი და უძნელესი საკითხი, რომელიც დაისვა რუსეთის რევოლუციის წინაშე, იყო და არის—ნაციონალური საკითხი. რევოლუციამდის და განსაკუთრებით მსოფლიო ომამდის, ყველა ფიქრობდა, რომ ეროვნული საკითხი რუსეთის იმპერიის ფარგლებში გადაიჭრებოდა და მოგვარდებოდა—რევოლუციამ არც ეს აზრი გაამართლა. პოლიტიკურსა და სოციალურ მაქსიმალიზმს გვერდში ამოუდგა ნაციონალური მაქსიმალიზმი—ეროვნულმა მოძრაო-

ბამ სეპარატისტული სახე მიიღო და ზოგიერთმა ერმა კიდევც მიადწია მიზანს. ნაციონალურმა საკითხმა რუსეთის იმპერია ტერიტორიალურათ დასჭრა და რევოლუციონური მოძრაობა იდეურათ და პრაქტიკულად დაანაწილა. რევოლუციის გაგება და რევოლუციონური შემოქმედება ყველა ერს თავისებური აღმოაჩნდა. განსაკუთრებითი განსხვავება აღმოჩნდა ამ ხანით გაბატონებულ რუსის ერსა და დანარჩენ ჩაგრულ ერთა შორის.



ეს სურათი რჩება დღესაც. მოსკოვის ბოლშევიკურმა ცენტრალიზმმა ვერ შესძლო ეროვნულ-ტერიტორიალური საზღვრების სავესებით წაშლა. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ეროვნული ტერიტორია ჩნდება საბჭოთა კავშირში. არც რევოლუციის გაგებაში მოხდა იდეური გამოთლიანება. ამ ნიადაგზე ბრძოლა გაჩაღდა თვით კომუნისტურ პარტიაში და წარმოიშვენ «უკლონისტები».

ყოველივე ეს გვეუბნება მას, რომ ყოფილ რუსეთის იმპერიაში აღმოცენებული ნაციონალური მოძრაობა, ჩაგრული ერების ინტელიგენციის მიერ გაბერილი საქმე კი არ არის, ანდა რუსეთის მტრებისგან გარედან შემოტანილი ინტრიგა, როგორც ამას ზოგიერთი რუსი პოლიტიკური მოღვაწე დღესაც ამტკიცებს, არამედ ცხოვრების მიერ წამოყენებული პრობლემაა, რომელიც ამა თუ იმ სახით, ადრე თუ გვიან აუცილებლათ უნდა გადაიჭრას. ავსტრო-უნგრეთი აღარ არსებობს, სოლო გერმანია დღეს დიდსა და ძლიერ რუსეთს უფრო ეტრფის, ვინემ დაძაბუნებულსა და დანაწილებულს. ინტელიგენცია კი, მთელ საბჭოთა კავშირში განადგურებულია. მიუხედავად ამისა, ეროვნული მოძრაობა იქ მაინც სწარმოებს. მისი წყარო და სათავე ხალხი; დემოკრატია არის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და ამიტომ არის იგი ძლიერი.

მაგრამ ისმება კითხვა, რატომ მიიღო ნაციონალურმა მოძრაობამ რუსეთში სეპარატული ხასიათი და რათ არ შეჩერდა იგი ძველ პოზიციანზე და არ მოისურვა თავისი ეროვნული უფლებით რუსეთის ფარგლებში ამა თუ იმ სახით დაკმაყოფილება? ეს საკითხი მეტათ საინტერესოა და ამავე დროს სუსტათ არის გაშუქებული.

რუსეთის იმპერიის დაშლის მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით რუსეთის სახელმწიფოს თვისებაში, რუსის ერის კულტურაში და მის ისტორიაში. რუსეთის იმპერია შეიქმნა მექანიკურათ, მის საფუძვლს არ შეადგენდა არც სულიერი და მატერიალური კულტურის მთლიანობა, არც ეკონომიკის, არც ენისა და არც რასისა. არც ერთ ამ დარგში რუსეთი არ ყოფილა ისეთი ძლიერი, რომ მას შესძლებოდა დაპყრობილი ქვეყნებისა და ერების თავის სხეულში გათქვევდა, შესისხარცება და შემტკიცება).

თანამედროვე ვეროპიულმა ერებმა თავის სახე-

*) არა რუსის ერები თუ რუსებში არ გაითქვიფენ, ეს არ მიეწერება მართო რუსეთის უკულტურობას და მის სახელმწიფოებრივ თავისებურობას. თვით განათლებულმა დიდმა ვეროპიულმა ერებმა ვერ შთანთქქეს დამორჩილებული ერები. ამის მაგალითია ავსტრია. დღეს საზოგადოთ არ ხდება ერების მოსპობა. ვეროპიულცი იღვიძებენ ერები, რომლების სასე თითქოს მთლად წაშლილი იყო, და ცთილობენ დამოუკიდებელ ეროვნულ ცხოვრების მოწყობას: ირლანდია, სკოტლანდია, ბსკეთი. განსაკუთრებით რუსეთი ვერ შესძლებდა ისეთი ერების გათქვევას, რომელნიც მახე მალდა იღვენ კულტურით და ეროვნულ შეგნებით.

რედაქცია.

ლმწიფოს საფუძვლათ დაუდევს რომის იმპერიისგან მემკვიდრეობით გადმოცემული კულტურა. მას თავისი ეროვნულიც დაუმატეს და საერთო ჯამში კაცობრიობამ მიიღო ის, რასაც დღეს თანამედროვე კულტურა ეწოდება. ამერიკული კულტურაც მისი გაგრძელებაა.

რუსებმა თავისი სახელმწიფო ააგეს ჩინგის ყაენის მემკვიდრეობაზე. მისი მშობლები თათრები იყვენ და არა ბიზანტიელები, როგორც ამას ზოგიერთი რუსის ისტორიკოსი ამტკიცებს. ბიზანტიელებმა იგი მხოლოდ მონათლეს და ნათლიას დიდი მზრუნველობა მასზე არასოდეს არ გამოუჩენია, რადგან თვითონ მალე სხვისი საზრუნავი გახდა. ტყვილათ კი არ ამბობს ერთი თქმულება—რუსი რომ გადაფხიკო, თათარი აღმოჩდება.

ამ გათათრებულ რუსს პეტრე დიდმა გერმანიის ტანისამოსი ჩააცვა, მოინდომა მოსკოვის სახელმწიფოს თათრული საფუძველის გამოცვლა. კალატონებათ მან მოიხმო უცხოელები: გერმანელები, შვეციელები, პოლონელები, კიეველები (უკრაინელები), ჩეხები, ფრანგები და სხვანი. მიუხედავათ იმისა, რომ ორ საუკუნეზე მეტი სწარმოებს ეს მუშაობა, თათრული საფუძველის გამოცვლა სავესებით მაინც ვერ შესძლეს, რუსეთის გავეროპილება დღემდის არ მოხერხდა. რუსის ხალხმა გამოიჩინა გამრავლების დიდი უნარი, ამიტომ უცხო კულტურულმა ელემენტმა ის ვერ დასძლია. და ეს რუსის ხალხი იყო რუსეთის იმპერიის მთავარი კოლონიზატორი და არა კულტურული გერმანელი, რომელთა კოლონიები რუსეთში ოაზისს წარმოადგენდენ და რომლებიც თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდენ.

უკულტუროსა და ლატაკ რუსის გლესს კი რა უნდა მიეცა განაპირა დაპყრობილი ქვეყნებისთვის? ის სკასავით იყრიდა ხლომე და მიდიოდა—კულდა გლანა გლიალიათ—ზურგზე მას წვირიანი ხალთა ეკიდა, ყელზე—თუთბრის ჯვარი და ჯიბეში სპილენძის შაურიანი ედვა, როგორც ამას მოხდენილათ შენიშნავს პროფ. ოხეროვი.

მაგონდება ერთი მაგალითი. 1905 წ. რევოლიუციის შემდეგ რუსეთის მთავრობამ, «ველიკოდერჟავნული» მოსაზრებით გურიიში დასახლა რამდენიმე რუსის სოფელი, მისცა სუბსიდიები და მოუწყო კარმიადამო. რუსის ბიუროკრატია ფიქრობდა, რომ ამით იგი გავლენას მოახდენდა რევოლუციონერ გურულ გლესზე. აქედან არასდერი არ გამოვიდა, გარდა იმისა, რომ გურულებმა რუსის ქალებს არალეგალურათ ბავშები დაუკეთეს. კიდევ ერთი დამახასიათებელი მაგალითი: კურსკის გუბერნიაში ერთსა და იმავე სოფელში ხელისგასაწდომზე ცხოვრობენ მეზობლათ ველიკაროსები და უკრაინელები, ანუ როგორც ისინი ერთიმეორეს ეძახიან—კაცაპები და ხახოლები. მიუხედავათ სარწმუნოების ერთობისა და საუკუნეობით ერთათ ბინადრობისა, ისინი ერთიმეორეს დღესაც ვიგინდარებათ თვლიან და ერთიმეორეში ქალს არ ათხვევენ.

ცხადია, რუსეთის უკულტურო გლესი, რომელსაც ამავე დროს რუსული ნაციონალური თვით-შე-

გნებაც არ გააჩნდა, ვერ გახდებოდა იმპერიის გამაერთებელ და შემადღებელ ელემენტათ.

რაც შეეხება თანამედროვე ცხოვრების მეთაურს ბურჟუაზიას, იგი რუსეთში სუსტი იყო ეკონომიურათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ. მას უცხოელი კაპიტალისტიც და შინაური «ინოროდებიც» ვაჭარიც სჯობნიდა. მოსკოვის მრეწველობა, პოლონეთის მრეწველობისგან პოლონეთის შემოერთების შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში საბაჟო კედლებით იცავდა თავს და მხოლოდ დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მისცა რუსეთის მთავრობამ დაპყრობილ პოლონეთის მრეწველობას რუსეთში თავისუფლათ საქონლის შემოტანის უფლება. განაპირა ქვეყნებში თქვენ ძვირათ შეხვდებით რუსულ კაპიტალსა და რუს მრეწველს. მას ყველგან სჯობნის ებრაელი, სომეხი, გერმანელი და სხვა. წარმოიდგინეთ ქართველიც კი, რომელიც ძლიერ გვიან გამოვიდა აღდგომის ასპარეზზე, მას მხარს არ უდგებს. ქუთაისსა და ჭიათურაში რუს ვაჭარსა და მრეწველს, სანთლით რომ ეჭოთ, ვერ იპოვით. არც ტფილისის და ბაქოა მით მდიდარი. დაპყრობილი ერები რუსს ეცნობიან, როგორც მოხელეს, «სტრაჟნიკს», «გაოროდოვის» და «პეჩნიკს». მართალია, მათ მოსკოვი აწვდიდა მოროზვის ფართალს, ტულის სამოვარს. მაგრამ ეს ისეთივე შორეული საქონელი იყო მისთვის, როგორც «ანგლიკი მატერია», «ზაელინგენის დანა», «ვენის სკამი», «ინგლისური შაბიამანი» და «ფრანგული პუდრი», რომელთაც მყიდველი რუსულ საქონელზე მაღლა აყენებდა. «ინოროდებმა» ისიც იციან გამოცდილებით, რომ ბელგიელი და გერმანელი ინჟინერი მაღლა სდგას რუს ინჟინერზე. ყველა დიდ ტექნიკურ საქმეებს რუსეთში უცხოელები უდგენ. ისიც გაუგონიათ, რომ რუსეთს ახალი მანქანები უცხოეთიდან შემოაქვს. ამიტომ ის ოცნებობს ევროპის და ამერიკის ტექნიკაზე, მის ნახვას ნატრობს, გული მისი იქით მიისწრაფის და არა რუსეთისკენ. რუსეთისგან გადააქვთ ის, რასაც ეს უკანასკნელი ევროპისგან ითვისებს.

ერთი სიტყვით, რუსული ნაციონალური კაპიტალი იყო იმდენათ სუსტი და უფოლადო, რომ მან ვერ შესძლო უზარმაზარი იმპერიის ბურჟუაზიული კულტურითა და ტექნიკით გაყენთვა და გაქეჟვა და ამ გზით იმპერიის ნაწილების მოსკოვისთვის შესისხლორცება.

სამღვდლოებდასა და თავად-ანაწურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მათი შემოქმედებითი როლი, განსაკუთრებით მე-19 საუკუნე. მეორე ნახევრიდან, ნოლს უდრის.

ერთათ ერთი დარგი, რომელიც რუსეთის იმპერიაში ასე თუ ისე თამაშობდა გამაერთიანებლისა და შემამტკიცებლის როლს, იყო რუსული მწერლობა. მაგრამ თუკი მას კრიტიკულათ მიუდგებით, დაგინახავთ, რომ მისი როლიც არ იყო დიდი. უპირველეს ყოვლისა, მწერლობის როლი ყველგან შეხლულულია იქ, სადაც ხალხის დიდი უმეტესობა წერაკითხვის ცოდნას არის მოკლებული. რუსეთი ამ მხრით დიდათ ჩამორჩენილი იყო, წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი 40 პროც. ვერ აღწევდა, ხოლო

რუსული წიგნის მცოდნეთა რიცხვი იმპერიაში ალბათ 20 პროც. არ შეადგენდა. ამიტომ რუსული მწერლობის გავლენა ვრცელდებოდა პატარა ერთა მართლ ინტელიგენციაზე და ისიც პირობითი. მართალია პუშკინი, ტოლსტოი, გოგოლი, დოსტოვესკი, ჩეხოვი და გორკი ცნობილი იყვენ მთელს იმპერიაში, მაგრამ ეს აიხსნება ერთი იმით, რომ რუსული მწერლობის შესწავლა სავალდებულო იყო სასწავლებლებში, და მეორე მით, რომ ზოგიერთი მათგანი დიდი მწერალი იყო, ხოლო დიდი მწერლის სახელი ყოველთვის ცილდება თვის ერის ფარგლებს. რუს დიდ მწერლებზე ნაკლები ცნობილი არ იყვენ ჩაგრული ერებისთვის—ბაიზნი, გიოთე, პეინე, შექსპირი, შილერი, იბსენი, პიუგო, სენკევიჩი, პშიბიშვესკი, პაუსტმანი და სხვანი, რომელთაც ინტელიგენცია რუსულ მწერლებზე არანაკლები გატაცებით კითხულობდა და ტკებოდა მათი პიესებით თეატრში.

რასაკვირვლია გენიოსი მწერლები ერებს ერთიმეორეს უახლოვებენ, იდეურათ აკავშირებენ კაცობრიობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყოველი მათგანის გავლენა უფრო დიდია მშობლიურ ერზე, ვინემ სხვაზე. პუშკინი დიდი რუსი პოეტი იყო და ამავე დროს სავალდებულო მწერალიც, არარუს ერთათვის. მიუხედავათ ამისა, იგი საქართველოში აკაკი წერეთელს კანკურციას ვერ უწევდა. აკაკის პოპულარიზობასთან შედარებით პუშკინის პოპულარიზობა პატარა იყო, ქართველი ერის დიდი უმეტესობა იმდროულად აკაკის ლექსებს და არა პუშკინისას. ტ. შევჩენკო დევნილი მწერალი იყო. მის მშობლიურ ენაზე წერა აკრძალული იყო რუსეთის მთავრობის მიერ, მიუხედავათ ამისა მთელს უკრაინაში ბატკო შევჩენკოს კითხულობდენ და იცნობდენ და არა პუშკინისა და ტოლსტოის.

ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ თვით რუსულ ენაზედაც. იგი გაბატონებული ენა იყო დედამიწის ერთ მეექვსედზე. მიუხედავათ ამისა, იგი პატარა ერების გულში ვერ შეიჭრა. არსად მას აღტაცებით არ სწავლობდენ. რუსულმა ენამ ვერ მოიპოვა ის მნიშვნელობა სხვა ერთა თვალში, როგორიც აქვთ—ფრანგულს, ინგლისურსა და გერმანულს. მათ სხვა ერები თავისი ნებით, ძალდაუტანებლათ სწავლობდენ და ითვისებდენ, რუსული ძალდატანებითაც ვერ გავრცელდა შესაფერისათ თვით რუსეთის იმპერიის ფარგლებშიც კი. ან რა გასაკვირალია. რუსულ ენას თვით რუსის მართველ წრეებში არასოდეს არ ქონია ავტორიტეტი. ალექსანდრე მე-III სჩიოდა: ნუთუ ორ რუსულ დაწესებულებას პარიზში—საელორსა და საკონსულოს, არ შეუძლიათ რუსულათ აწარმოვონ მიწერ-მოწერა ერთიმეორეს შორის და არა ფრანგულათო? და ეს ხდებოდა ასე იმიტომ, რომ რუსმა დიდმა მოხელეებმა სხვა ენები უკეთ იცოდენ, ვინემ რუსული. რუსეთის ელჩმა ინგლისში, გრაფმა ბეკენდორფმა, რომელიც რევოლუციის წინა დღეებში გარდაიცვალა, ყველა ენა იცოდა, გარდა რუსულისა. ეს კი გუშინდელი ამბავია. საყურადღებოა ისიც, რომ ლიტერატურული რუსული ენა დამუშავებულია უცხოელებისგან და მასში უცხოელებისგან წარმოშობილი სიტყვები სჭარბობენ წმინდა რუსულს.



რუსი ნაციონალისტების ერთი ნაწილი უცხო სიტყვების განდევნას მოითხოვს და ამ ბოლო დროს ერთგვარი კომპანიაც დაიწყო მის წინააღმდეგ. პეტრე სტრუვემ მათ ურჩია დაანებონ ამას თავი, ვინაიდან ეს სასურველ შედეგს არ მოგვცემსო და სამაგალითოთ მოუყვანა შემდეგი სიტყვები: სალდათი, ოფიცერი, გენერალი, არმია, ცარი, იმპერია და როსია ყველა უცხო სიტყვებიდან არიან წარმოშობილი და რომელი თქვენგანი მოინდომებს მათ რუსული ლექსიკონიდან განდევნასო! და მართლაც, უცხო სიტყვები, რომ რუსული ლიტერატურის ენიდან განდევნოთ, არასდროს ამ კარგი ენისგან არ დარჩება. მაშასადამე რუსულ ენას არ შეეძლო გამხდარიყო სახელმწიფოს ცემენტი.

რომ ზემოთ გამოთქმული შეხედულება ვინმემ ცალმხრივით არ ჩამომართვას, ამისთვის მოვიყვან რუსი მეცნიერ-პოლიტიკოსის აზრს ამ საკითხის შესახებ. ყველასთვის კარგათ ცნობილი პ. მილიუკოვი, რომელიც დარდნაღლის რუსეთისთვის შეერთებაზე ოცნებობდა. ესლა ემიგრაციაში ირკვევს საკითხს—თუ რათ დაატყდა ასეთი უბედურება მის სამშობლოს ომისა და რევოლუციის დროს და რატომ დაიშალა იმპერია. ის თავის შრომაში «როსია ნა პერელომე» სწერს: «რუსების დამახასიათებელი თვისების საფუძველს, რომელიც წითელ ძაფსავით გავლებულია ისტორიული პროცესის ყველა დარგში—პოლიტიკურში, სოციალურში, ინტელექტუალურში და ნაციონალურში, წარმოადგენს ნაწილების ერთიმეორეზე გადასკვნისა და შეცემენტების ცნობილი სისუსტე, რომლებიც შეადგენენ სოციალურ აგრეგატს. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს თვისება უეჭველათ ანსხვავებს რუსულ სახელმწიფოებრიობას სხვებისგან, რამაც ბუნებრივად და აუცილებლად გამოიწვია რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობისა და გაზრდის განსაკუთრებული სახე. საუკუნოების განმავლობაში სახელმწიფოს ხელისუფლება დარჩა ისეთივე, როგორც იყო ვიკინგების პირველად რუსეთში მოსვლის ეპოქის დროს. ის იყო უცხოელი მოსული ხელისუფლება, რომელსაც ხალხი ემორჩილებოდა იმდენად, რამდენად მისგან გამოეყოდა სარგებლობას. ხალხს არ სურდა სახელმწიფო თავისათ ჩეთვალა, მის ნაწილად ეგრონო თავი და ყოფილიყო პასუხისმგებელი მთელის მაგიერო». ასეთი იყო მისი აზრით რუსების შეხედულება და დამოკიდებულება თავის სახელმწიფოსადმი.

რაც შეეხება სხვა ერებს, იგი მათ დამოკიდებულებას მთელისადმი ასე ახასიათებს: «უნდა აშკარათ ვალიაროთ, სწერს იქვე მილიუკოვი, რომ გადაბმა ნაციონალური ნაწილების მთელთან, უფრო ვერდობოდა პასიურ ჩვეულებას მორჩილებისას, ვინემ შეგნებულათ არჩეულ ერთათ ყოფნის სურვილს. პირიქით, უკიდურესი ცენტრალიზმი და ყოფილგვარი ნაციონალური თვისებების დევნა თვითპყრობელობის მიერ, იწვევდა ერთა აღშფოთებას. განსაკუთრებით უკმაყოფილებამ ფართო ხასიათი მიიღო უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში რევოლუციის წინ, მას შემდეგ, რა რომ ალექსანდრე მე-III ძალით დაუწყა ინორდრცებს გარუსება. უკვე მე 19 საუკ.

ბოლოს სახსვებით ცხადი გახდა, რომ პირველი მუჯღუგუნისთანვე, რომლის განცდაც კი მოუხდება სახელმწიფოს, გამოფხიზლებული ერების მეთაურები შეეცდებოდენ ეშვონათ მოკავშირენი და დახმარება რუსეთ გარეთ ბიუროკრატული ცენტრალიზმისა და რუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათო» (ტ. I, გვ. 31-37).

ასეთი იყო მოკლეთ რუსეთის იმპერიის ორგანიზმი და მისი შემადღუღებელი და შემკავშირებელი სოციალური და ნაციონალური ძალები.

მას რაზე ვერდობოდა და რა აკავშირებდა ამ უზარმაზარ იმპერიას?

მისი შემკავშირებელი და დასაყრდნობი ძალა იყო თვითპყრობელობა და ჯარი. მეფის კარისკაცი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე გრაფი ს. ვიტე თავის მოგონებაში ამბობს: «მართლაც, ვინ შექმნა რუსეთის იმპერია? არამც თუ უმთავრესათ, არამედ მართლთ მარტო ჯარმა. ხიშტმა და ძალამ გარდაქმნა მოსკოვის სამეფო დიდ გავლენიან ვეროპიულ სახელმწიფოთ. ჩვენი კულტურით, სიმდიდრითა და ბიუროკრატული კლასითკი არ მოგვეყვდა განცვიფრებაში მთელი ქვეყანა, არამედ ჩვენი ძალით, რომლის წინაშე იხრიდა ის ქედს და გვიწვედა დიდ ანგარიშს. და როცა მსოფლიომ დაინახა, რომ ჩვენ არც ისე ძლიერი ვართ, როგორც წარმოედგინათ, რომ რუსეთი «თიხის ფეხებიანია», ამის შემდეგ უცებ სურათი შეიცვალა» (ტ. I, გვ. 342).

ვიტე მსოფლიო ომის დასასრულსა და რევოლუციას არ მოსწრებია, თორემ კიდევ უფრო დარწმუნდებოდა თავის შეხედულებაში. როცა იგი ამას სწერდა, მას სახეში ქონდა ყირიმისა და იაპონიის ომი.

რუსეთის შედარებით ჭკვიანმა რეაქციონერებმა—პობედონოსცევმა, დურნოვომ და კამპანია იცოდენ. მათ ეწინოდათ რუსეთის იმპერიის გარყევის, სოციალური ძალების ამოძრავების და ამიტომ «ერთ წერტილზე გაიყინვას» ქადაგებდენ. ესევე ესმოდათ ლიბერალებს და ამიტომ ცდილობდენ რუსეთის მშვიდობიანი გზით, თანდათანობითი თანამედროვე სახელმწიფოთ გადაქმნას. რუსეთის სახელმწიფოსა და მისი ისტორიის ყველაზე უკეთ მცოდენ პ. მილიუკოვი, ტყვილათ კი არ ევედრებოდა რევოლუციის პირველ დღეებში მეფის ძმას მიხეილ რომანოვს—ნუ იტყვი უარს ტახტზე, თორემ სახელმწიფო დაილუტებოდა. მან იცოდა, რა მოელოდა ამის შემდეგ მის სამშობლოს. რეაქციონერებისა და ლიბერალების ასეთი პოზიცია აიხსნება არა მარტო მათი კლასიური ინტერესებით, არამედ რუსული «ველიკოდერჟავენული» ნაციონალიზმითაც.

საყურადღებოა ის, რომ რეაქციონერებისა და ლიბერალების ერთი ნაწილი ამ პოზიციას შერჩა ბოლშევიკების დროსაც. მათ ნაციონალური ინტერესები კლასურზე მაღლა დააყენეს და ისე დააფასეს ბოლშევიზმი. ისინი დარწმუნდენ, რომ რუსეთის აღდგენა და ისევე გაერთიანება შეეძლო მხოლოდ ძალას, ასეთ ძალათ აღმოჩნდა ბოლშევიზმი და წითელი არმია. ამიტომ ამოუდგენ გვერდში ბოლშევიკებს გენ. ბრუსილოვი, პოლ. კამენევი, ფინანსისტი კუტლერი, პროფ. უსტრიალოვი და სხვანი. და ისტორი-

ულათ ისინი უფრო მართალნი აღმოჩნდნენ, ვინემ გენერ. ალექსეევი, დენიკინი, ვრანგელი და აკადემიკი სტრუვე.

ამით აიხსნება ემიგრაციაში მილიუკოვისა და სხვადასხვა დემოკრატიულ და სოციალისტურ დაჯგუფებათა «მშვიდობიანი ტაქტიკა» ბოლშევიკების მიმართ. დიდი რუსეთის მომხრეთ იქაც და აქაც კარგათ აქვთ შეგნებული, რომ საბჭოთა კავშირი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკების თვითპყრობელობისა და წითელი არმიის ძალაზე დაყრდნობით. სხვა არავითარი შემაკავშირებელი ძალა არ არსებობს გარდა ამ ორი უხეში ძალისა. ერთა კავშირი ქალაქდნეა დაწერილი, იგი ეყრდნობა ძალმომრეობას და არა მასში შემავალ ერთა თავისუფალ ნებისყოფას. არც ერთ ერს არ შეუძლია ფაქტიურათ განახორციელოს საბჭოთა კონსტიტუციის მე-3 მუხლი და გამოვიდეს კავშირიდან. მართალია ბოლშევიკები ცდილობენ შეუქმნან საბჭოთა კავშირს ეკონომიური და კულტურული მთლიანი ბაზა, მაგრამ იგიც ისე თივე ხელშეწყობით და მექანიჭურადა, როგორც თვით კავშირი. ბოლშევიკების თვითპყრობელობის დაცემის მეორე დღეს ამ კავშირისგან ბევრი არაფერი დაჩრება.

ზოგიერთ რუს პოლიტიკურ მოღვაწეს მთლათ იმედი არ დაუკარგავს და ფიქრობს, რომ ბოლშევიკების კატასტროფას გადაურჩება წითელი არმია, რომელიც დაიცავს დიდ რუსეთს. ეს შესაძლებლობა არსებობს, განსაკუთრებით თუ წითელი არმიის მეთაურებმა მოახდინეს სასახლის გადატრიალება. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ წითელი არმია გადაურჩეს დაშლის პროცესს. ისე როგორც ვერ გადაურჩა მას მეფის არმია. საქმე იმაშია, რომ წითელი არმია კიდევ უფრო გადასკვნილია ბოლშევიკურ რეჟიმზე, ვინემ მეფის არმია ძველ რეჟიმზე იყო. ბოლშევიკური მეთაური, პოლიტრუკი და კომუჯრედი, აი ის სამკუთხედი, რომელიც მართავს წითელ არმიას. როგორც კი თქვენ მას ამ თავს მოსჭრით, იგი მაშინვე დმოკდება და ბოლშევიკების მემკვიდრეთ დასჭირდებოდათ ხელახლა არმიის შექმნა ისე, როგორც ეს ბოლშევიკებს დასჭირდათ. წითელი არმია ისე არ გამოადგება ბოლშევიკების მემკვიდრეთ, როგორც მეფის არმია არ გამოადგა დროებით მთავრობას.

ცხადია, ბოლშევიკების შემდეგ მოსკოვს პირველ ხანებში არ ეყოლება ძალა, რომლითაც მას შეეძლება არარუს ერების დამორჩილება. აი დაახლოვებით ის პერსპექტივა, რომელიც იშლება საბჭოთა კავშირში შემავალ ერების წინაშე. პირადათ მეფიქრობ, რომ ეს ერთათ ერთი გამოსავალი წერტილია, რომელზედაც უნდა დაამყარონ თავისი იმედები და ჩაგრულმა ერებმა. რუსის ემიგრაცია ამას წინდაწინ გრძნობს და ამ ბოლო დროს ის შეგნებულათ გაურბის ნაციონალური კითხვის დასმასაც კი.

მაგრამ დიდ შეცდომას ჩაიდენენ მებრძოლი ერები და მისი ხელმძღვანელები, თუ იფიქრებენ—რომ მათ დამოუკიდებლობა ბოლშევიკების დაცემის შემდეგ, თუგინდ «ჯიბეში ედვათ». ასეთი გადაჭარბებული ოპტიმიზმი მათ ისევ დალუპავს. ეს იქნება

მხოლოდ ბრძოლის ახალი ხანის გამოსავალი წერტილი და არა მისი საბოლოო გადამწყვეტი. ნამდვილი ბრძოლა შიგნით და გარეთ, ამის შემდეგ გაჩაღდება. ის ადვილი არ იქნება.

მოსკოვი ისევ შექმნის სახელდახელოთ შეიარაღებულ ძალას და შეეცდება ურჩი ერების დამორჩილებას. ამ ნიადაგზე გაერთიანდება მთელი რუსის საზოგადოება, ისე როგორც ეს მოხდა მაშინ, როცა გენ. მურავიოვმა აჯანყებული პოლონეთი ცეცხლსა და მახვილს მისცა. არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან ის, რომ, რევოლუციის შემდეგ რუსული ნაციონალიზმი გაიხარდა, ფართო მასაზეც ვავრცელდა იგი. ასე რომ, ერები ამ ხანით, შესვდებიან ერთ მთლიან რუსულ ფრონტს.

მეორეს მხრით არ იქნება ადვილი ერთი მთლიანი ანტიმოსკოვური ფრონტის შექმნა. ახლო წარსულმა ამის კარგი გაკვეთილი მოგვცა. მოსკოვი შეეცდება არ შეიქმნეს მის წინამდებ ერთა მთლიანი ფრონტი. ის ერთს დაუთმობს, მეორეს შეპირდება, მესამეზე იარაღით წავა და ბოლოს კი ყველას დაიმორჩილებს. მოსკოვის ეს თალღითური პოლიტიკა თუ ვერ შეიგნეს ჩაგრულმა ერებმა, ისინი ბრძოლას ვერ მოიგებენ.

არც ყველა გარეშე სახელმწიფო იქნება მომხრე რუსეთის დანაწილების. ზოგიერთი მათგანი მხარს დაუჭერს ერების დამოუკიდებლობას, ზოგი კი დიდ, მთლიან რუსეთს დაიცავს. ბევრია დამოკიდებული მასზე, თუ ვინ იქნება იმ უამათ ვეროპისა და ამერიკის ბატონ-პატრონი და რამდენათ იქნება მათი დღევანდელი შინაური კითხვები მოგვარებული.

პატარა ერების ინტერესები მოითხოვენ, როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში—დემოკრატიის გამოარჯვებას. ერთა განთავისუფლებისა და ერთა დაახლოვების პროცესი, რომელიც თანამედროვე ხანას ახასიათებს, მხოლოდ დემოკრატიის პირობებში მიალწვევს მიზანს. მაგალითი ამისი მრავალია. რუსეთში მეფისა და ბოლშევიკების თვითპყრობელობამ ნაციონალური საკითხი გაამწყვავა, ერები ერთიმეორეს გადაკიდა და ერთა სოლიდარობას გამოსცოლა ის ნიადაგიც კი, რომელიც პოტენციაში არსებობდა. გერმანიაში დიქტატურის მოსვლა, სახელმწიფოს მთლიანობას დაშლას უქადის, დეიხურ ერს ქსაქსავს და ანაწილებს. ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი, ერთმანეთს უახლოვდებიან უკიდურესი მტრები—გერმანელები და ჩეხები. აქ სხვა და სხვა ერები გაცილებით უფრო ადვილათ სწყვეტენ საერთოსა და სადაო კითხვებს, ვინემ ეს ავსტრიელ პაბსბურგების დროს იყო, ანდა ესლა საბჭოთა კავშირში არის.

ბოლშევიკებმა მხოლოდ ქალაქდნე დასწერეს ერთა თავისუფლება და ერთა თვით გამოარკვევის პრინციპი. ისინი ერის, კლასისა და ისტორიის მოტყვილებას ცდილობენ. მოტყვილებული ბოლოს და ბოლოს თვით დაჩრებიან და ცხოვრება რევოლუციის მიერ გაცემულ ვეჭხილებს გაანადღებს.

კაპი.

ჩეხია, 12 ნოემბერი, 1932 წ.



საკონფედერაციო ხელისუფლების ორგანო

კავკასიის კონფედერაციის პაქტში

კავკასიის პაქტის მეცხრე მუხლი ადგენს, რომ კონფედერაციის სამი ორგანო აქვს: სახელმწიფოთა საბჭო, მუდმივი სამდივნო და საკონფედერაციო სასამართლო. ეს აღნუსხვა სწორი არაა, ვინაიდან შეუძლებელია, უკანასკნელი განვიხილოთ როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანო. საკონფედერაციო სასამართლო არის დაწესებული და მოუკიდებელი როგორც წევრ-სახელმწიფოებისა ისე ცენტრალურ ხელისუფლებისაგან. ის დამოუკიდებელია იმ მოსახრებისა გამო, რომ მისი გადაწყვეტილებანი ემდებარებიან როგორც შემავალ სახელმწიფოებს, ისე ცენტრალურ ხელისუფლებას. ცხადია, არ ჩაითვლება საკუთარ ორგანოდ დაწესებულია, რომლის გადაწყვეტილება ემდებარება მეორეს. ჩვენ გვეჩვენება შემთხვევა ამ საგანს კვლავ შევეხეთ. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კავკასიის პაქტის მეცხრე მუხლის აღნუსხვა სწორი არაა და იქიდან უნდა გამოიწიოს საკონფედერაციო სასამართლო. მაშასადამე გვრჩება კონფედერაციის ორი ორგანო: სახელმწიფოთა საბჭო და მუდმივი სამდივნო. განვიხილოთ ესენი ცალკე და გავარკვიოთ, თუ რა როლი უნდა ითამაშონ და რა უფლებებით არიან აღჭურვილნი.

I.

სახელმწიფოთა საბჭო კონფედერაციის ცენტრალური ორგანოა. იბადება სხვადასხვა კითხვა: როგორია მისი შემადგენლობა, წესი მუშაობისა და კომპეტენცია (სახელო).

1) შემადგენლობა სახელმწიფოთა საბჭოსი. «სახელმწიფოთა საბჭო შესდგება კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა თითოეულ მთავრობის სამ-სამი დელეგატისაგან», ამბობს მეთერთმეტე მუხლის პირველი პარაგრაფი. საბჭოს დელეგატებს ნიშნავენ მთავრობანი, ამ საკითხისთვის არსებობს სხვადასხვა გვარი დადგენილება: ზოგს კონფედერაციაში დელეგატების დანიშნა ეკისრება სახელმწიფოთა საკანონმდებლო ორგანოებს; ზოგან კი ადგილი აქვს იმ წესს, რომელიც მიღებულია კავკასიის პაქტში. პირველი წესი არსებობდა შვეიცარიის 1815 წლ. კონფედერაციაში და ჩრდილოეთის შეერთებულ სახელმწიფოების 1776 წ. კონფედერაციაში, ხოლო მეორე გერმანიის 1815 წ. კონფედერაციაში.

ორსავე წესს თავისი გასამართლებელი საფუძველი აქვს. ხოლო ვფიქრობ, რომ კავკასიის პაქტის წესს უპირატესობა ეკუთვნის ორი მოსახრებით: ერთი იმიტომ, რომ სახელმწიფოთა მთავრობის წევრებმა უკეთ უწყიან თავიანთ სახელმწიფოთა მიმდინარე საქიროებანი. მათ შეძლება აქვთ განიხილონ საქმე და მიიღონ გადაწყვეტილება საქმის სრულის გაგებით. მეორე იმიტომ—და ეს უმთავრესია—მათ საუკეთესოდ შეუძლიათ დაიცვან სახელმწიფოთა საბჭოს გადაწყვეტილება თავიანთ პარლამენტისა და მთელი საზოგადოებრივი აზრის წინაშე. თუ რასმე დაადგენ-

ენ, არ შეუძლიათ მისი არდაცვა წინაშე თავის ქვეყნისა.


საინტერესო ინიციატივას ჰქონდა ადგილი პაქტის შემზადების წინასწარ მუშაობაში: სახელმწიფოთა საბჭოს წევრებად უნდა ყოფილიყვნენ de jure მინისტრები საგარეო საქმეთა, თავდაცვის და ფინანსთა. მაგრამ სარედაქციო კომისიამ არ გაიზიარა ესეთი წინადადება.

პაქტი არაფერს ამბობს, მთავრობის დელეგატები რა ვაით იქნებიან დანიშნულნი—განსაზღვრულ საქმისთვის თუ სახელმწიფო დელეგატად დროით. უეჭველია, უკანასკნელი წესი უფრო მისაღებია.

2) წესი მუშაობისა. «სახელმწიფოთა საბჭო იკრიბება განსაზღვრულ ვადებში და აგრეთვე როცა გარემოება ამას მოითხოვს. თითოეულს სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს კონფედერაციის მთავარ მდივანს სახელმწიფოთა საბჭოს მოწვევა არაჩვეულებრივ კრებისათვის. მთავარი მდივანი ვალდებულია ამ მოთხოვნას მსვლელობა მისცეს» (მუხ. 11, პარაგ. 3). ამ ტექსტს თითქმის არ ესაქიროება განმარტება: იგი ადგენს, რომ საბჭოს აქვს ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი კრებები. უეჭველია, საბჭოს მოწვევის პრეროგატივა ეკუთვნის იმ პირს, რომელიც იმ დროს თავმჯდომარის თანამდებობაზე მორიგეობს.

როგორღა ინიშნება თავმჯდომარე? «თითო წლით მორიგეობით თავმჯდომარეობს კონფედერაციაში შესულ თითოეულ სახელმწიფოს დელეგატი» (მუხ. 11, პარაგ. 2). ამ რიგად ამ საგნის შესახებ გამორიცხებულია ყოველი დავა სახელმწიფოთა შორის. ყველა ეს ტექნიკური საკითხი არ მოითხოვს ვრცელს გარკვევას. ხოლო მეტად დიდი მნიშვნელობის საგანია აღნიშნული მეთერთმეტე მუხლის მეოთხე პარაგრაფში, რომელიც მოითხოვს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება ერთხმად უნდა იქნეს მიღებული. აქ ორ მხარეს უნდა მიექცეს ყურადღება: ჯერ ერთი—ტექსტი მეტად ლაკონურია (მოკლე)—ერთხმადო, ამბობს, მაგრამ ვისი ერთხმობაა აქ ნაგულისხმევი? უნდა ვიგულისხმოდ ყველა დელეგატები, თუ თითოეულს სახელმწიფოს ერთი ხმა აქვს, როგორც ნაციათა ლიგაში, მიუხედავად დელეგატთა რიცხვისა. ასე გამოდის, რომ პაქტი ჰგულისხმობს ყველა წევრებს, დელეგატებს, რაიც არ იქნებოდა ვარგისი. სასურველია ამ საგანზე გარკვეული პასუხი.

ხოლო ძლიერ სადავოა მეტისმეტად მძიმე თვით პრინციპი ერთხმობისა. უეჭველია, უმრავლესობის პრინციპი ფრიად უხერხულია სახელმწიფოთა კონფედერაციაში. საკონფედერაციო პაქტებში მხოლოდ ერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ ამგვარი, ესაა შემუშავებული ამერიკის სამხრეთ შტატების მიერ განდგომის ომის დროს. ყოველ შემთხვევაში შეიძლება მისი შესუსტება რამოდენადმე. თვით ნაციათა ლიგაში, რომელიც უფრო სუსტი კავშირია, ვიდრე სახელმწიფოთა კონფედერაცია,



ერთნობის პრინციპი აბსოლუტური არაა და შეიცავს რამდენსამე გამოწვევას, რომელთა შორის ერთი, სახელდობრ ნაციონალიზმის პაქტის მესხეთე მუხლისა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. იგი ეხება ეგრე წოდებულს პროცედურის საკითხებს, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს და გადაიჭრას უბრალო უმრავლესობით. და მეტად საგულისხმიერია: იმდენად დიდია უმრავლესობის პრინციპის საჭიროება ორგანიზმისათვის, რომელსაც სწადია ნამდვილი მოქმედება, რომ ყოველთვის ცთილობენ პროცედურის საგნების ცნების გაფართოვებას.

საჭიროა ამის მსგავსის რისიმე შეტანა კავკასიის პაქტში, რადგან საბჭოს ყველა წევრის და არა მარტო ყველა დელეგაციის ერთნობის მოთხოვნა ყოველი საკითხისათვის ძლიერ შეაფერხებდა საბჭოს მუშაობას. მეტერთმეტე მუხლის მეოთხე პარაგრაფი უნდა შეიცვალოს—დართოს უმრავლესობის პრინციპი პროცედურის საგნებისთვის და ასეთების განსაზღვრა თვით საბჭოს უნდა ეკუთვნოდეს, ან უნდა შემოიღოს კენჭის ყრა დელეგაციების საშუალებით. რომ თითუღს დელეგაციას მხოლოდ ერთი ხმა ჰქონდეს.

3) სახელმწიფოთა საბჭოს კომპეტენცია შეიცავს ყველა იმ საქმეს, რომლებიც ეკუთვნის ცენტრალურ ხელისუფლებას (მუხლი 11, პარ. 5). მე ჩამოვთვლი მხოლოდ და საჭირო არაა, მათ კვლავ დაეუბრუნდე (იხ. «დამ. საქართ.» 1932 წ. ივლისი, № 79). საბჭოს საქმეა:

- ა) კავშირების შეკვრა, სამშვიდობო და საბაჟო ხელშეკრულებათა დადება; ბ) ომის გამოცხადება; გ) დამოკიდებულება უცხოეთთან, ელჩების გაგზავნა და მათი მიღება; დ) დანიშვნა მთავარსარდლისა საკონფედერაციო ჯარისათვის ომის დროს და საკონფედერაციო მთავარ მდივნისა; ე) კონფედერაციის ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

მარტო ეს ჩამოთვლილი საქმეა გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვანი ვალდებულებანი აქვს დაკისრებული სახელმწიფოთა საბჭოს და თუ რა დიდი მოქნილობაა საჭირო მისთვის როგორც ორგანიზაციაში ისე მუშაობაში.

II.

არა ნაკლები მნიშვნელობისაა სამდივნო—ტექნიკური და საკავშირო ორგანო. მისთვის ითქმის, რაც ადამიანთა ყოველ დაწესებულებებისთვის: ის იქნება ისეთი, როგორც იქნებიან მისი შემადგენელი პირები. კავკასიის პაქტის დაწესებული ჩარჩოები საქმად მოქნილია, რომ ამ ორგანიზმა აწარმოოს მეტად სასარგებლო მუშაობა. საჭიროა მისი შესრულებისთვის შეგნება და გონიერება.

1) ორგანიზაცია და შემადგენლობა (მუხ. 12, პარაგ. 1 და 2). მუდმივი სამდივნო შეიცავს ოთხს ორგანიზაციას: პირდაპირ სამდივნოს, რომელიც მთავარი ორგანიზაციაა და სამს ტექნიკურ ბიუროს—საგარეო საქმეთა, ფინანსების და ეროვნულ თავდაცვის. თვით სამდივნო არაფერია სათქმელი. პაქტის პროექტში არავითარი წინადადება ამ საგანზე. ეს გონივრულიცაა, რადგან უნდა ვიქონიოთ მთავარ

მდივნის ნდობა, რომელიც მოაწყობს, უეჭველია, თავის სამინისტროს საჭიროებისა და მოთხოვნილების მიხედვით, როცა ამის დრო დადგება, როცა პაქტი შევა ძალაში. პაქტი ადგენს მხოლოდ, რომ მთავარ მდივანს ირჩევს სახელმწიფოთა საბჭო. მაგრამ რა ვადით? ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, თუ სახეში მივიღებთ კონფედერაციის მუდმივ ინტერესებს, მთავარი მდივანი უნდა არჩეულ იქნეს რაც შეიძლება ხანგრძლივი ვადით, შეიძლება მაგალ. სახლვრად დაიდვას წლები—75 წელი. გარდა ამისა იგი უნდა იყვეს გადაუყენებელი, ვინაგან მთავარი მდივანი არსებითად და განსაკუთრებულად კონფედერალური მოხელეა იმ საქმეთა გამო, რომლებიც მას აქვს დაკისრებული. ამ შემთხვევაში უნდა მივბაძოთ მსგავს დაწესებულებას ნაციონალიზმში.

რაც შეეხება სამს ტექნიკურ ბიუროს. ეს ახალი რამაა კავკასიის პაქტის შემოღებული, რასაც ადგილი არ ჰქონდა აქამდის კონფედერაციათა პრაქტიკაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ორს უმთავრეს საგნის—ფინანსებისა და ჯარის—შესახებ კავკასიის პროექტი ნახევარ გზაზე შეჩერდა. მაგრამ პროექტმა გონიერება გამოიჩინა, რომ სამაგიეროთ ამ საგანთა ცენტრალიზაციისათვის შექმნა ტექნიკური ბიუროები, რომელთაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ.

ამ ბიუროებს ხელმძღვანელობენ მთავარ მდივნის თანამშრომლები. მის მიერვე დანიშნულნი სახელმწიფოთა საბჭოს დასტურით (მუხ. 12, პარ. 2). მთავარი მდივანი თავის არჩევნის დროს უმთავრეს ყურადღებას საზოგადო ინტერესს მიაქცევს და საბჭოც ნდობით მოეპყრობა მას.

2) მოვალეობანი და როლი (მუხ. 12, პარ. 3). პრინციპი გამოთქმულია ამ მუხლის მესამე პარაგრაფის პირველ ნაწილში: მთავარი მდივანი «უზრუნველყოფს კავშირს კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა და საკონფედერაციო ხელისუფლებას შორის». უნდა შევჩერდეთ ამ საგანზე, რომელიც ფრიალ მნიშვნელოვანია. წინამდებ ბევრ სხვა კონფედერაციისა, რომელთა საერთო კრება იმართება დროგამოშვებით და რომელთაც არავითარი მუდმივი ორგანო არ მოეპოვებათ, კავკასიის პაქტი ჰქმნის ახალს დაწესებულებას—მუდმივ სამდივნოს, რომელიც იქნება ფედერალიზმის საფუძველი და ხელს შეუწყობს მის გონივრულს განვითარებას. ჩვენ კვლავ ვიმორბობთ, რომ სახელმწიფოთა კონფედერაცია არის მხოლოდ ეტაპი, თუმცა აუცილებელი, მაგრამ მაინც გარდამავალი. იგი შეიცვლება უკეთესი ფორმით, ე. ი. ფედერალურ სახელმწიფოთი: ამ საქმისთვის მთავარ მდივანს დიდი როლი ევალება. იგი უნდა იქნეს დამცველი საერთო ინტერესის და მასვე მოეთხოვება პატივისცემა და განხორციელება საერთო ინტერესის. მან უნდა განამტკიცოს და გააცხოველოს ფედერალური ერთობა, რომელიც თავში სუსტი იქნება. ერთი სიტყვით იგი უნდა იქნეს ცენტრალური კავკასიის კონფედერაციაში.

სამწუხაროთ პაქტის სარედაქციო კომისიამ ვერ გამოიჩინა სრული გამბედაობა. მუდმივი სამდივნო

ერთმობის პრინციპი აბსოლუტური არაა და შეიცავს რამდენსამე გამონაკლისს, რომელთა შორის ერთი, სახელდობრ ნაციათა ლიგის პაქტის მეხუთე მუხლისა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. იგი ეხება ევრო წოდებულს პროცედურის საკითხებს, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს და გადაიჭრას უბრალო უმრავლესობით. და მეტად საგულისხმეოა: იმდენად დიდია უმრავლესობის პრინციპის საჭიროება ორგანიზმისათვის, რომელსაც სწადია ნამდვილი მოქმედება, რომ ყოველთვის ცთილობენ პროცედურის საგნების ცნების გაფართოვებას.

საჭიროა ამის მსგავსის რისიმე შეტანა კავკასიის პაქტში, რადგან საბჭოს ყველა წევრის და არა მარტო ყველა დელეგაციის ერთმობის მოთხოვნა ყოველი საკითხისათვის ძლიერ შეაფერხებდა საბჭოს მუშაობას. მეორეხარისხიანი მუხლის მეოთხე პარაგრაფი უნდა შეიცვალოს—დართოს უმრავლესობის პრინციპი პროცედურის საგნებისთვის და ასეთების განსაზღვრა თვით საბჭოს უნდა ეკუთვნოდეს, ან უნდა შემოიღოს კენჭის ყრა დელეგაციების საშუალებით, რომ თითოეულს დელეგაციას მხოლოდ ერთი ხმა ჰქონდეს.

3) სახელმწიფოთა საბჭოს კომპეტენცია შეიცავს ყველა იმ საქმეს, რომლებიც ეკუთვნის ცენტრალურ ხელისუფლებას (მუხლი 11, პარ. 5). მე ჩამოვთვლი მხოლოდ და საჭირო არაა, მათ კვლავ დავუბრუნდე (იხ. «დამ. საქართ.» 1932 წ. ივლისი, № 79). საბჭოს საქმეა:

- ა) კავშირების შეკვრა, სამშვიდობო და საბაჟო ხელშეკრულებათა დადება; ბ) ომის გამოცხადება; გ) დამოკიდებულება უცხოეთთან, ელჩების გაზავნა და მათი მიღება; დ) დანიშვნა მთავარსარდლისა საკონფედერაციო ჯარისათვის ომის დროს და საკონფედერაციო მთავარ მდივნისა; ე) კონფედერაციის ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

მარტო ეს ჩამოვთვლა საკმაოდ გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვანი ვალდებულებანი აქვს დაკისრებული სახელმწიფოთა საბჭოს და თუ რა დიდი მოქნილობაა საჭირო მისთვის როგორც ორგანიზაციაში ისე მუშაობაში.

II.

არა ნაკლები მნიშვნელობისაა სამდივნო—ტექნიკური და საკავშირო ორგანო. მისთვის იტმის, რაც ადამიანთა ყოველ დაწესებულებებისთვის: ის იქნება ისეთი, როგორც იქნებიან მისი შემადგენელი პირები. კავკასიის პაქტის დაწესებული ჩარჩოები საკმაოდ მოქნილია, რომ ამ ორგანიზმა აწარმოოს მეტად სასარგებლო მუშაობა. საჭიროა მისი შესრულებისთვის შეგნება და გონიერება.

1) ორგანიზაცია და შემადგენლობა (მუხ. 12, პარაგრ. 1 და 2). მუდმივი სამდივნო შეიცავს ოთხს ორგანიზაციას: პირდაპირ სამდივნოს, რომელიც მთავარი ორგანიზმია და სამს ტექნიკურ ბიუროს—სავარეო საქმეთა, ფინანსების და ეროვნულ თავდაცვის.

თვით სამდივნოზე არაფერია სათქმელი. პაქტის პროექტში არავითარი წინადადებაა ამ საგანზე. ეს გონივრულიცაა, რადგან უნდა ვიქონიოთ მთავარ

მდივნის ნდობა, რომელიც მოაწყობს, უქვევლია, თავის სამინისტროს საჭიროებისა და მოთხოვნილების მიხედვით, როცა ამის დრო დადგება, როცა პაქტი შევა ძალაში. პაქტი ადგენს მხოლოდ, რომ მთავარ მდივანს ირჩევს სახელმწიფოთა საბჭო. მაგრამ რა ვადით? ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, თუ სახეში მივიღებთ კონფედერაციის მუდმივ ინტერესებს, მთავარი მდივანი უნდა არჩეულ იქნეს რაც შეიძლება ხანგრძლივი ვადით, შეიძლება მაგალ. საზღვრად დაიდვას წლოვანება—75 წელი. გარდა ამისა იგი უნდა იყვეს გადაუყენებელი, ვინაიდან მთავარი მდივანი არსებითად და განსაკუთრებულად კონფედერალური მოხელეა იმ საქმეთა გამო, რომლებიც მას აქვს დაკისრებული. ამ შემთხვევაში უნდა მივბაძოთ მსგავს დაწესებულებას ნაციათა ლიგაში.

რაც შეეხება სამს ტექნიკურ ბიუროს. ეს ახალი რამაა კავკასიის პაქტის შემოღებული, რასაც ადგილი არ ჰქონდა აქამდის კონფედერაციათა პრაქტიკაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ორს უმთავრეს საგნის—ფინანსებისა და ჯარის—შესახებ კავკასიის პროექტი ნახევარ გზაზე შეჩერდა. მაგრამ პროექტმა გონიერება გამოიჩინა, რომ სამაგიეროთ ამ საგანთა ცენტრალიზაციისათვის შექმნა ტექნიკური ბიუროები, რომელთაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ.

ამ ბიუროებს ხელმძღვანელობენ მთავარ მდივნის თანამშრომლები, მის მიერვე დანიშნულნი სახელმწიფოთა საბჭოს დასტურით (მუხ. 12, პარ. 2). მთავარი მდივანი თავის არჩევნის დროს უმთავრეს ყურადღებას საზოგადო ინტერესს მიაქცევს და საბჭოც ნდობით მოეპყრობა მას.

2) მოვალეობანი და როლი (მუხ. 12, პარ. 3). პრინციპი გამოთქმულია ამ მუხლის მესამე პარაგრაფის პირველ ნაწილში: მთავარი მდივანი «უზრუნველჰყოფს კავშირს კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა და საკონფედერაციო ხელისუფლებას შორის». უნდა შევჩერდეთ ამ საგანზე, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია. წინამდებე ბევრ სხვა კონფედერაციისა, რომელთა საერთო კრება იმართება დროგამოშვებით და რომელთაც არავითარი მუდმივი ორგანო არ მოეპოვებათ, კავკასიის პაქტი ჰქმნის ახალს დაწესებულებას—მუდმივ სამდივნოს, რომელიც იქნება ფედერალიზმის საფუძველი და ხელს შეუწყობს მის გონივრულს განვითარებას. ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ სახელმწიფოთა კონფედერაცია არის მხოლოდ ეტაპი, თუმცა აუცილებელი, მაგრამ მაინც გარდამავალი. იგი შეიცვლება უკეთესი ფორმით, ე. ი. ფედერალურ სახელმწიფოთი: ამ საქმისთვის მთავარ მდივანს დიდი როლი ევალება. იგი უნდა იქნეს დამკვეთი საერთო ინტერესის და მასვე მოეხიზოება პაქტის ცემა და განხორციელება საერთო ინტერესის. მან უნდა განამტკიცოს და გააცხოველოს ფედერალური ერთობა, რომელიც თავში სუსტი იქნება. ერთი სიტყვით იგი უნდა იქნეს ცენტრალური კავკასიის კონფედერაციაში.

სამწუხაროთ პაქტის სარედაქციო კომისიამ ვერ გამოიჩინა სრული გამბედაობა. მუდმივი სამდივნო



ჩვენ მათ სამჯერ მოგვატყუეს. საკავშირო და მეგობრული ხელშეკრულობანი ნაგლეჯ ქალაქად აქციეს და საქართველო მონათ გაიხადეს. განაკავასია დღესაც ფორმალურად საკავშირო დამოკიდებულებაში არ არის რუსეთთან? და მერე რა გამოვიდა აქედან, თუ არა კავკასიის მონათ გახდომა და მისი მოსკოვის კოლონიით გადაქცევა!

ბ. ალ. ნატისივი. მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ სომხები თეორიულად ვალიარებთ კონფედერატულ პრინციპს კავკასიაში. ის მართლაც ამ ნიადაგზე უნდა მოეწყოს, თუ უნდა თავისუფალი იყოს. მაგრამ სურვილი და პრინციპი ერთია, ხოლო რეალობა მეორე. რეალური საქმის ვითარება კი ჩვენ გვიჩვენებს, რომ საუბედუროთ, თუ საბედნიეროთ, კავკასიის აქვს ნავთი, რომელიც მსოფლიოში პირველია თავისი სიმდიდრით და ნაყოფიერებით და აი ეს ნავთი იზიდავს რუსეთს. ის არც ასე ადვილად დასთანხმდება კავკასიის დამოუკიდებლობას, როგორც ეს კონფედერალისტებს წარმოუდგენიათ. (რეპლიკა ადგილიდან: მაშ, რუსეთის ორიენტაცია უნდა მივიღოთ?). მეორე მხრივ არსებობს ოსმალეთი, რომლის პოლიტიკაზეა დამოკიდებული, კავკასია იარსებებს, როგორც დამოუკიდებელი თუ არ იარსებებს. დღეს კი ეს პოლიტიკა კავკასიის საწინააღმდეგოთ არის მიმართული და ამგვარებს რუსეთის პოზიციებს კავკასიაში. მთავარია დაარწმუნოთ ოსმალეთი, რომ მისი სასიცოცხლო ინტერესები სათვის საჭიროა კავკასიის ბუფერი; თუ ეს მოხდა, მაშინ არის შანსი კავკასიის დამოუკიდებლობის გამაგრებისა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ არა ვართ დაზღვეული, როგორც მომხსენებელმა აგვისნა, 1918 წლის ისტორიის განმეორებისაგან. მაშინ ოსმალეთმა დაშალა კავკასია და ვშიშობ, მომავალიც ეს არ განმეორდეს.

ესლა მინდა შევეხე ერთ საკითხს, რომელიც სპეციფიური, სომხური ხასიათისაა.

დღეს კავკასიის სომხეთი მხოლოდ 882.000 მცხოვრებს ითვლის, მაშინ, როდესაც ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ერთ ნახევარ მილიონს უდრის. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, დღევანდელი სომხეთი ვერ წარმოადგენს საკმაო ძალას, რომ ის იქნეს კონფედერაციის შესაფერისი წევრი. ხოლო, რომ ის ასეთად გახდეს, რომ ის გადაიქცეს სისხლსავსე და ჯანსაღ წევრათ, საჭიროა მეზობლებმაც იზრუნონ, ამ გადმოხვეწილთა ნაწილს მაინც დაუბრუნდეს თავისი კერა. დღევანდელი ლტოლვილების კავკასიაში გაგზავნის საქმე არ არის მართლ ბოლოშევიკების პოლიტიკის შედეგი. ეს ჩვენიცაა ჩვენ ყველაზე ამ რეპატრიაციას თანაუგრძობთ და მხარს უჭერთ.

ისრაილ ლევი (მთიელი) ესალმება ასეთი სიმპატიური მოხსენების გაცემებას და აღნიშნავს, რომ კავკასიის ერთა მთლიანობა გამართლებულია ისტორიული წარსულით და აწმყოთი. ეს მთლიანობა უნდა დაედევს კავკასიის თავისუფლებას. ხოლო სომხების მოთხოვნისა და ორატორს განუხორციელებლათ მიახნია. ვინაიდან, მისი ცნობებით, სომხების ყოფილ ტერიტორიაზე ოსმალეთმა უკვე ჩაასახლა 400,000 სირია-ირაკიდან გადმოხვეწილი

თათრობა და შეუძლებელია მათი ხელახლა იქიდან აყრა, ისე, როგორც შეუძლებელია ჩრდილოეთ კავკასიიდან ყაზახობის აყრა და მათ ადგილზე ოსმალეთიდან ჩერქეზების დასახლება.

ბ. ჯამალიანი. აქ რეპლიკა მომესმა, რომლის ავტორი ჩვენ ალბათ, რუსეთის ორიენტაციას გვაბრალებს. ამაზე მე უნდა განვაცხადო, რომ სომხებში არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც რუსეთის ორიენტაციას იზიარებდეს. (ხმები: კი არის). მე ვამბობ ჯგუფზე და არა კერძო პირზე. რა მნიშვნელობა აქვს, ესა თუ ის პირი იქნება რა ორიენტაციისაა. მთავარია, რომ სომხობაში ეს არ წარმოადგენს პოლიტიკურ მიმდინარეობას. ესე-ლა მოხსენებაზე. მე უნდა ავღნიშნო, რომ მოხსენების ძირითადი პრინციპები უდავოა და მას ჩვენ ვიღებთ თავის დასკვნებითურთ. კავკასიის ერთა თავისუფალი კავშირი მართლაც ერთად ერთი საშვალეობა თავის დასიცავად და მყუდრო ცხოვრების მოსაწყობად; მაგრამ ეს ისე უნდა მოეწყოს, რომ არ იყოს ერთი ერის გეგმონია და მეორეს დაჩაგვრა. ეს კი მაშინ იქნება, თუ სომხობას ექნება გარანტია იმას, რომ ისიც ღვიძლი შვილია კავკასიის და არა გერი. ეს მით უფრო ადვილია, თუ მეზობლები იცნობენ სომხების განსაკუთრებულ მდგომარეობას, გამოწვეულს ისტორიული ამბებით. აქ სომხობა უნდა ხედავდეს ძმურ თანამგრძობობას თავის მეზობლებში, თუ ეს იქნა მე დაარწმუნებული ვარ, კავკასიის ერები სავსებით დაუბრუნდებიან იმ სახელოვან ტრადიციებს, რომელზედაც აქ მომხსენებელმა მოგვითხრო.

არ არის მართალი, ვითომც შესაძლებელი იყოს დღეს ლაპარაკი რუსეთთან კონფედერატულ კავშირში შესვლაზე. კავშირით ეკვრიან ერთმანეთს თავისუფალი ერები და არა მონა ბატონს. ხოლო ხვალ რა იქნება, ვის დაუკავშირდება თავისუფალი კავკასია ეს ხვალინდელი დღის საქმეა და დამოკიდებულია მომავალ სიტუაციაზე.

აქ გაკვრით მინდა უპასუხო პატ. მთიელს, რომ მისი ინფორმაცია სომხების ყოფილ ტერიტორიაზე თათრების ჩასახლების შესახებ არ არის სწორი. მართალია ოსმალეთის მთავრობამ მოინდომა ამ ადგილების დასახლება, მაგრამ იქ მხოლოდ 40.000 სულის მეტის მოწყობა ვერ შესძლო. ამ რიგად ეს ადგილები დაუსახლებელია და ესლა იქ მხოლოდ მხეცები ბუნაგობენ.

უკვე თორმეტი საათია და უდროობის გამო სხვა ორატორებს თავისი აზრის გამოთქმის საშვალეობა აღარ აქვთ.

უკანასკნელ სიტყვას იღებს მომხსენებელი—ის სიამოვნებით აღნიშნავს, რომ კონფედერაციის პრინციპი კავკასიელთა შორის დავას არ იწვევს. ჩვენ ვფიქრობთ—დასკვნის მომხსენებელი—ურთიერთის გავება და მთავარი პრინციპის აღიარება საშვალეობას მოგვცემს დაბრკოლებათა გადალახვისას. რომლის ვადალმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

დამსწრე.



ოცნება და სინამდვილე

ოქტომბრის რევოლუციის ბევრი ოცნება და ფანტაზია იყო, ბოლშევიკების ბელადები მსოფლიო სოციალურ რევოლუციასთან დაკავშირებით, ხოლო მათი ამჟამინდელი მხარდები—ამ ცოდვილ ქვეყანაზე სამოთხის დამყარებაზე ოცნებობდნენ. არც ერთ მათგანს ოცნება არ გაუმართლდა. მსოფლიო რევოლუციის მაგიერ ესაა ერთ ქვეყანაში აშენებენ ვითომ სოციალიზმს. ამ რიგით, ლენინისა და ტროცკის სოციალურმა რევოლუციამ ჭირის მოგვამათ და მის მაგიერ ჩვენი კობას «სოციალიზმი» თარეშობს.

მუშებმა და გლეხებმა არამც თუ ბედნიერება ვერ დაამყარეს ქვეყანაზე, არამედ კიდევ უფრო გაუბედურდნენ და რაც მეფის ხანაში ქონდათ, ისიც კი დაკარგეს. განსაკუთრებით გლეხებს დაუჯდა ოქტომბრის რევოლუციით გატაცება ძვირათ. სტალინმა მათ ასჯერ გააძრო «სოციალიზმის» სახელით ტყავი და ესაა გასაძრომიც არასფერი აქვთ გარდა სამუშაო ძალისა, რომელიც ბოლშევიკებმა ყმურ მდგომარეობაში ჩააყენეს...

მეფის მემკვიდრეთ ბოლშევიკები აღმოჩნდნენ, მათ მისი ხელობა (ხალხის და ერების შევიწროება და გაძარცვა) განაგრძეს, მაგრამ უფრო სასტიკათ და უტიფრათ აკეთებენ ყოველსავე ამას. ამის შემდეგ რევოლუციის პირველი ხანის სიხარული, რომ თვითპყრობელობა თავიდან მოიშორეს, ნადრევი აღმოჩნდა, მეფის თვითპყრობელობა ბოლშევიკურმა შესცვალა და ამის გამო ბევრი ესაა «იმ ნეტარსენებულ დროს» ნატრობს.

მიუხედავად ამისა, 15 წლის მწარე გაკვეთილების შემდეგაც. საბჭოთა კავშირშიც და უცხოეთშიც მოიპოვებიან მეოცნებე ელემენტები, რომლებიც დღესაც ფიქრობენ—სტალინი ერთ ქვეყანაში სოციალიზმს აშენებსო. ასეთები არიან: იქ—ახალგაზდები, აქ უცხოეთში—რუსეთის სინამდვილის არ მცოდნე პოლიტიკური მოღვაწენი და უმუშევრობისგან განამწარხები მასები. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამ «ოცნებასა და სინამდვილზე» წერა, ესაა საჭიროა. ის არც ქართველი მკითხველისთვის არის ზედმეტი. ყველას არ ძალუძს ადევნოს იქაურ ამბებს სისტემატიურათ თვალყურით და სისწორით გაირკვეს საბჭოთა მოვლენებში. ისე კი საჭიროა ვიცოდეთ, რა ხდება ცხენში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდება.

მაშ დავიწყეთ იმ იმედით, რომ მალე სამშობლოში დავბრუნდებით და ბოლშევიკების «ნამოღვაწარს» სახეებით მაშინ გავცენობით. მანამ კი იმით დაგვამაოფილდეთ, რაც ჩვენამდის ამა თუ იმ გზით იქიდან აღწევს.

ჩეკისტების ზეიმობა.

არაფინ იფიქროს, რომ მე ხალხის ზეიმი მქონდეს სახეში. არა. საბჭოთა კავშირში ხალხი ზეიმისა და ქეიფის გუნებაზე არ არის. არ ზეიმობს თვით «დიქტატურის მატარებელი» პროლეტარიატიც, რომლის

სახელით «ერთ ქვეყანაში სოციალიზმს დამყარებენ», ზეიმობენ ბოლშევიკები და ყველა არც ისინი. ვინაიდან მათ, რომელთაც ცოტაოდენი სინდისი და დამოუკიდებელი აზროვნება შერჩათ, სდევნიან. ზეიმობს მხოლოდ დიქტატორი სტალინი და მისი ამალა, დანარჩენთ კი ძალით აყვირებენ და აციუნებენ.

გასული წლის დეკემბერში ბოლშევიკებმა რამდენჯერმე «გააბედნიერეს» ამ მხრით ხალხი და თავისი უბედურება არა ერთხელ მოაგონეს. 20 დეკემბერს ილდესასწაულზე და სხვასაც ადღესასწაულზეებს «რევოლუციის ფხიზელ დარაჯის» და ხალხის ჯალათის ჩეკის არსებობის 15 წლის თავი. როგორც წესია, პირველათ სტალინი მიესალმა «გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამართველოს მუშაკებსა და მებრძოლთ, რომლებიც პატიოსნათ და მამაცურათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას კავშირის მუშებისა და გლეხობის წინაშე, და უსურვა მათ წარმატება პროლეტარიატის მტრების განადგურების რთულ საქმეში».

რომ ჩეკისტები მართლა სინდისიერთ ასრულებდნენ თავის მოვალეობას პროლეტარიატისა და გლეხობის წინაშე, მაშინ ისინი თავიდან მოაშორებდნენ სტალინს, ვინაიდან მასზე უფრო დიდი მტერი მათ არ ყავს. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ჩეკისტები პირნათლათ ასრულებენ თავის მოვალეობას დიქტატორის წინაშე და ანადგურებენ ყველა მათ, რომლებიც სტალინის წინამდეგ კრინტს დაძრავს. მიუხედავად ამისა, სტალინი კიდევ მეტს წარმატებას თხოულობს მომავალში მათგან.

მოლოტოვმა და კავანოვიჩმა კი, კონკრეტულ ამოცანათ დაუსახეს ჩეკისტებს მომავალი წლისთვის: «განმანადგურებელი ლახვარი ჩასცენ საბოტაჟის გამწვევ კონტრ-რევოლუციონერებს და სახელმწიფო და საკლამურენო ქონების მტაცებელთ. და აგრეთვე მრავალჯელ დასცხონ თეთრგვარდიელების ნაშთებს».

ნაშთებთან ბრძოლა, ვისიც არ უნდა იყოს ის, დიდ ვაჟაკობას არ მოითხოვს: სულ სხვა არის საბოტაჟიკებთან და ქონების მტაცებლებთან. ასეთს დღეს მთელი საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. მასში მონაწილეობას იღებენ თვით კომუნისტებიც კი, განსაკუთრებით სოფლათ მომუშავენი. ეს კი ცოტა უფრო ძნელი საქმეა. თეთრგვარდიელთა ნაშთებთან ბრძოლას ცხანებული ილიჩიც ავალებდა ჩეკისტებს, ხოლო მოლოტოვისა და კავანოვიჩის დავალება ჩეკის ახალი მოვალეობა არის. წინეთ ასეთი მუხლი ჩეკის ვალდებულებათა შორის არ იყო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სამხედრო კომუნისტისა და ნეპის ხანაში თვითონ კომუნისტები სცარცავდნენ სახელმწიფოსა და კერძო პირთ. ეს ძარცვა სტალინმა ხუთწლედის შემოღებით დაასრულა და ყველა გაძარცვა, ვისაც კი რაიმე მოვპოვებოდა და თავის ხელში მოუყარა თავი. და აი, როცა ეს გაძარცვული გლეხი და მუშა, შიმშილის გამო იძულებულია სტალინის ქონებიდან რაიმე მიითვისოს, მას ქურდათ აცხადებენ და ჩეკისტებს აჟლეტიებენ.

«რევოლუციის ფხიზელ დარაჯთ» მიულოცეს—

კალინიმა და ენუქიძემ და ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და «ბელადებმა». მათ საერთო განიმეორეს სტალინ-მოლოტოვ-კაგანოვიჩი, ორიგინალობა გამოიჩინა მხოლოდ ამიერ-კავკასიის საბჭოების აღმასკომმა და ჩეკის დღევანდელი ხელმძღვანელები მენუჩინსკი და იაგოდა «ამ.კავკ.ს.ფ.საბ.რეს. შრომის წითელი დროშის» ორდენით დააჯილდოვა, და ამავე დროს აღძრა შუამდგომლობა მოსკოვის წინაშე, რომ ამ.კავკას. ჩეკის თავმჯდომარე აგრება, საქართველოს ჩეკის თავმჯდომარე ტიტე ლორთქიფანიძე, აზერბეიჯანის—ფინოვსკი და სომხეთის—აბულიანი დაჯილდოებული იქმნენ «საბჭოთა კავშირის შრომის წითელი დროშის» ორდენით, ვინაიდან «მათ მიუძღვით საბრძოლო და ოპერატული დამსახურება თავის მუშაობის დროს».

ამ კავკასიის ბლომევიკებმა იციან, რომ ჩეკის გარეშე არსებობა მათ ერთ დღესაც არ შეუძლიათ და ამიტომ ჩეკისტებს ფეხქვეშ ეგებებიან. მით უმეტეს მართებს დღეს ეს მათ, როცა ამიერ კავკასიაში სტალინის მოადგილეთ არის დამსახურებული ჩეკისტი ბერია.

საპატიო ჩეკისტი.

ბევრმა დღემდის არ იცოდა, რომ ფილიპე მახარაძემ საპატიო ჩეკისტის ტიტული მიიღო. საზოგადოება მას ქართველი კომუნისტების ბელადთა თვლიდა. ასეთი იგი არასოდეს არ ყოფილა. მისი მეგობარი ქართველი კომუნისტები მას ასეთათ ასაღებდენ, მაგრამ ეს კანდრახანდა იყო მხოლოდ. სინამდვილეში ფილიპე ყოველთვის «დაჩაგრული» იყო და ვერასოდეს ვერ გახდა დიდი კაცი. ჯერ იყო და სოც.-დემ. პარტიაში ნ. ყორღანია და სხვები «ჩაგრა-ვდენ». შერბე ბლომევიკების პარტიაში—კობა და ორჯონიკიძე. შემდეგ კომუნისტურში—ორახელა-შვილი და ელიავა, კახიანი და ლოღობერიძე. ლომინაძე და სუნიშვილი, ქართველიშვილი და მამულია და ესლა ბერია და აღნიაშვილი. ესენი ორივენი დამსახურებული ჩეკისტები არიან. ბერია ამ.კავკასიას განაგებს, აღნიაშვილი—საქართველოს. ერთი ამიერ-კავკასიის კომუნისტების ბელადია და მეორე—საქართველოს კომუნისტების. ასეთია ბრძანება მოსკოვის და მას ვერავინ ვერ გადაეღობება. ჩეკისტები რასაკვირველია ვერ იკუთხდნენ თავის გვერდში უბრალო კომუნისტს. და ფილიპესაც მისცეს საპატიო ჩეკისტის ტიტული და გამოუშვეს ჩეკისტების იუბილეზე 22 დეკემბერს ტფილისში. ფილიპე მაინც დაჩაგრული დარჩა, ბერია იგი მაინც არ გაითანასწორა, თვითონ დამსახურებული ჩეკისტი სახელს ატარებს, ფილიპე კი—სამოწყალოთ მიღებული საპატიოსას. ასე თუ ისე, ფილიპე მაინც ჩეკისტია და იმედია ამის შემდეგ ჩვენი ისტორია ამ ტიტულს შეუნახავს მას.

დანარჩენზე შემდეგ.

ალფა.

მაკონული მოძრაობა მაკადალიანთა შორის

ნაციონალიზმი.

II.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ნაციონალიზმის მეორე ფაზა, რასული, მე-20 საუკ. დასაწყისში გაჩნდა. ნაციონალიზმის ეს მეორე სახე ყველაზე უფრო თურქებში განვითარდა, სადაც ორი ხანა გამოიარა, პან-თურქიზმისა და პანთურანიზმისა. შემოდ აწერილი იყო პირველყოფილი თურქული ნაციონალიზმი ოსმალურ ფარგლებში მომწყვდეული. ამ ოსმალურმა ნაციონალიზმმა გასტანა ბალკანეთის ომების დასასრულამდე (1913), როდესაც თავს იჩენს რასული ნაციონალიზმი.

ამ დროს იბადება ოსმალურში იმის შეგნება, რომ ისინი წარმოადგენენ უკიდურესს დასავლეთ შტოს ხალხთა იმ დიდ ოჯახისას, რომელსაც აზია და მთელი აღმოსავლეთი ევროპა მოუკავებია და რომელსაც ურალ-ალტაის რასას ან უფრო ხშირად, თურანელებს უწოდებენ. ეს ოჯახი შეიცავს ოსმალურს, სპარსეთის თურქებს, კავკასიის და სამხრეთ რუსეთის თათრებს, უნგრელებს, ფინებს და შორეულ მონღოლებს და მანჯურებს. მიუხედავად მათი კულტურის, ტრადიციების და გარეგან შეხედულობის განსხვავებისაც კი, ამ ხალხებს ბევრი რამ აქვთ საერთო; მათ ნათესაობას მოწმობს ენების მსგავსება და ფიზიკური და გონებრივი თვისებანი ამ ხალხებისა.

საკმარისია ამ ხალხებმა ირწმუნონ თავიანთი რასული ერთობა, რომ წარმოიშვას დიდი ეროვნული ძალა. მაგრამ ასეთს მოძრაობას ადგილი არ ქონია ამ საუკუნის დასაწყისამდე. არათუ ფინებსა და მანჯურებს აზრადაც არ მოსდიოდათ თურანული ნათესაობა, არამედ ისეთი მონათესავე შტოები, როგორც ოსმალური და შიდააზიის თურქომანები, სრულებით გულგრილად ეკიდებოდნენ ერთმანეთს და ზოგჯერ მედიდურადაც. «სიტყვა «Turkluk» (თურქი), ამბობს არ. ვამბერი, 1855-ში, როდესაც სტამბოლი მოვიარე, გამოიმხატველი იყო ველურობისა და გაუთლელობისა, და როდესაც მივუთითებდით თურქულ რასის დიდს მნიშვნელობაზე, მიპასუხებდნენ: «იმედია, ველურ თათრებსა და ყირღიზებს არ გვადარებთ და არ გვითანასწორებთ».

1895 წ. იჩინა პირველად თავი რუსეთის თათრებში ეროვნულმა გრძობამ და აქედან დაწყებული მოძრაობა ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ. რუსეთის თათრობამ შიდა აზიის თურქომანები შემოიერთა და უკვე პირველსავე «დუმში» შექმნა ერთიანი მუსულმანური ჯგუფი და მალე უფრო გატაცებულმა სტამბოლში გადაიტანეს თავიანთი მოღვაწეობის ასპარეზი. 1908 დის პანთურანული პროპაგანდა მიჩქმალული იყო. როგორც შემოდ იყო ნათქვამი აბდულ ჰამიდი პანისლამისტი იყო, რჯულის ნიადაგზე იდგა და წინააღმდეგი იყო ყოველივე ეროვნულ მოძრაობისა.

პანთურანიზმის ქადაგება გაცნოველდა ახალგაზდა თურქების გაბატონებისთან ერთად.

მართალია თეორიით ეს არის თურანელ ქვეყნის გაერთიანების ქადაგება, მაგრამ ნამდვილად იგი შეეხება უფრო ახლობელ ნათესავ თურქ თათრობას, ოსმალებს, რუსეთის თათრებს და შიდააზიის და სპარსეთის თურქომანებს. ვინაიდან ყველა ეს ხალხები მაჰმადის რჯულის არიან, ეროვნული მოძრაობა ამ შემთხვევაში უახლოვდება პანისლამისტურს. მაგრამ სარწმუნოებრივ მხარესაც რომ თავი გავანებოთ, ჩვენ ვხედავთ, რომ პანთურანულ მოძრაობას ამ თავად უფრო პანთურქული ეთქმის.

პანთურანიზმმა სავსებით იჩინა თავი ბალკანეთის ომების შემდეგ. ამ ომებმა თურქები ხომ გარეკეს ბალკანეთიდან და პირი აზიისკენ უქნეს, მაგრამ ამას გარდა ისეთი სიძულვილი აღუძრეს უნგრელებსა და ბურღულელებს გამარჯვებულ სერბიელებისა, რომ ამ ორმა ხალხმა თავისი თურანული შთამომავლობა განაცხადეს და რუსულ სერბიულ მუქარის წინააღმდეგ პანთურანულ ერთობის აზრი წამოაყენეს.

პანთურანიზმის მქადაგებელთ შექმნეს ხალხთა დიდებისა და დაცემის თეორია. მათის აზრით ძველი ისტორიული ერები—არაბნი, სპარსელები, ინდოელები,—გადაგვარებული არიან; ევროპიელებმა მიაღწიეს თავიანთ აღმასვლის უკიდურეს წერტილს და უკვე დაქანდნენ, დარჩნენ თურანელები, რომელთა თანდაყოლილი სივარჯილად და დასავლეთ ცივილიზაციის მიერ ჯერ ხელუხლებელი მგაერი ნერვები უქანდის მათ დიდ მომავალს. ზოგი მათგანი კი იქამდისინაც მიდის, რომ თურანულ რასის სამღვთო ვალად სთვლის დაძველებულ ქვეყნიერობის გამოცოცხლებას თურანულ სისხლის საშუალებით.

პანთურანიტები ხედავდნენ, რომ მათი აზრების გინხორციელება რუსეთის იმპერიის დანგრევას მოითხოვდა; ხედავდნენ იმასაც, რომ დასავლეთ ევროპაშიაც იყვნენ ამ დანგრევის მოსურნენი; გრძობდნენ, რომ ომი თუმცა სასიფათოა, მაგრამ დიდ შესაძლებლობათა იმედებს იძლეოდა, და ამან გააბედვინა ოსმალეთს ომში ჩარევა და გერმანია-ავსტრიის გვერდით ამოდგომა.

ჯერ კიდევ 1915-ში ერთი ოსმალო პუბლიცისტი სწერდა: «რუსეთის დესპოტიზმის დამარცხება გერმანელ, ავსტრიელ და ოსმალო მამაც ჯარების მიერ დამოუკიდებელ ჰყოფს 30 40 მილიონ თურანელს. ამით მიემატებათ 10 მილიონი ოსმალო და შეიქნება 50 მილიონიანი დიდის ცივილიზაციის ვხით მავალი ერი, ისეთი ცივილიზაციისა, რომელიც გერმანულს შეედრება იმით, რომ უფრო მაღლა ასვლის ძალა ექნება. ეს ცივილიზაცია ბევრ რამეში საფრანგეთის და ინგლისის გადაგვარებულ ცივილიზაციებზე მაღლა იქნება».

ხალხი, რუსეთის დანგრევის შემდეგ, 1917 ბოლოს, პანთურანელების ოცნებამ ხომ ყოველივე საზღვარი გადალახა, ხალილ ფაშა, ოსმალო ჯარის მთავარსარდალი მესოპოტამიაში. ენგ ვრ ფაშის ბიძა, ამბობდა: «უბრიველეს ყოვლისა ყველა თურქულად მოლაპარაკე ტომი ერთ ფრად უნდა გაერთიანდეს». ასეთი გაერთიანება, ცხადია, გულისხმობდა თურქესტანის აღებას. კავკასიელი თათრობა, რა

თქმა უნდა, ამ გაერთიანებაში უნდა შესულიყო. სომხობა და ქართველობა, როგორც უმცირესობის წარმომადგენელი ერები ამ ტერიტორიაზე, უნდა თავის ნებით დამორჩილებულიყვნენ ან ძალით ყოფილიყვნენ დაპყრობილი.

1918-ში, ზაფხულში ოსმალეთის ჯარებმა მართლაც გაიარეს ამიერკავკასია და ჩრდილო სპარსეთი და შიდააზიისაკენ გაემართნენ, მაგრამ ამ დროს მოხდა გერმანიის დანგრევა, ომი თავლებოდა და მას უნდა მოყოლოდა, როგორც სჩანდა, ოსმალეთის დანგრევაც. პანთურანიტები სასოწარკვეთილებას მიეცნენ, მაგრამ მალე მათ იმედებს ფრთები უნდა შესხმოდა.

ვიდრე ახლო აღმოსავლეთის 1918 წლის შემდეგ ამბებს განვიხილავდეთ, შევჩერდეთ ცოტა ხანს ეროვნულ მოძრაობის მეორე ხანაზე დანარჩენ სამუსულმანო ქვეყანაში. ჩვენ დავინახეთ, რომ თურქულ ნაციონალიზმთან ერთად არაბული ნაციონალიზმიც შედგა რასულ ნაციონალიზმის გზაზე; მისი იდელი იყო დიდი არაბული იმპერია, რომელიც უნდა შემდგარიყო არა მხოლოდ წმიდა არაბულ ქვეყნებისა, სირია-მესოპოტამიისაგან, არამედ შიდ უნდა შესულიყვნენ გაარაბებული ქვეყნებიც, როგორც ეგვიპტე. ტრიპოლიტანი, ჩრდილო აფრიკეთი და სუდანი. გონებრივად პანარაბიზმა ვერ მიაღწია იმ განვითარებას, რასაც პანთურანიზმმა. მიუხედავად ამ ორ მიმართულების მსგავსებისა უნდა აღინიშნოს ის საყურადღებო განსხვავება, რომ პანარაბიზმს ბევრად უფრო რელიგიური და პანისლამური ხასიათი დაცვა, რადგან არაბებს («ჩეულ ერად» მიაჩნიათ თავი, ერად, რომელსაც ღვთისაგან აქვს დანიშნული მთელ საისლამო ქვეყნიერობის ბრძანებლობა. მეორეს მხრით პანარაბიზმი მოკლებულია იმ გაერთიანებულ ხელმძღვანელობას, რომელიც არის პანთურანიზმში. არის ორი გონებრივი სახელმძღვანელო ცენტრი: სირია და ეგვიპტე.

დიდი ომი უფთოდ ხელს უწყობდა პანარაბიზმს, განსაკუთრებით ჰეჯასის დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნით. მაგრამ სხვადასხვა არაბული ხალხები ისე გართული არიან ადგილობრავ დამოუკიდებლობათა მოპოვებით და ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ბატონობათა მოსპობით, რომ პანარაბიზმის უფრო ვრცელს აზრს აღარ უჭირავს პირველი ადგილი ნაციონალიზმს არაბთა პროგრამაში.

ამის გარდა, როგორც ნათქვამი იყო, პანარაბიზმი ჩასქიდებია ისეთს აზრებს, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვს რასასთან, სახელდობრ, პანისლამიზმს და «პანისლამურ ნაციონალიზმს». «პანისლამური ნაციონალიზმი»—სიტყვების სასაცილო წინააღმდეგობაა—ჩვენ, დასავლეთელებისათვის მანიც. მაგრამ სხვა აღმოსავლეთელის წარმოდგენა. რაც უნდა ხარბად იყოს დაწაფებული აღმოსავლეთი ჩვენს აზრებს ეროვნებისა და პატრიოტიზმის შესახებ, ამ აზრების გაცნობამდე მის გონებაში უკვე ღრმად იყო გამჯდარი ისლამურ ერთობისა და ყველა ნამდვილ მოწმუნეთა ძმობის იდეები. მოხდა ის, რომ შემოტანილ აზრებს თავისებური ფერი მისცა ძველმა აზრებმა; იმდენათ, რომ, როდესაც მუსულმანი

ჩვენს ტერმინოლოგიას ხმარობს—ეროვნება, რასა და სხვ. ის ჩვენ აზრებისაგან განსხვავებულ აზრებს სდებს ამ სიტყვებში. კერძოდ, ეროვნება მის თვალში სულაც არ ნიშნავს, რომ ვინმე ან დაბადებიდან უნდა იყოს რომელიმე ერის წევრი ან შემდეგ უნდა მიიღოს მისი წევრობა. ყოველივე მუსულმანი თავისიანებში გრძნობს თავს, ისლამის ქვეყნის რომელიც კუთხშიდაც არ უნდა მოხვდეს. «ეგვიპტე ეგვიპტელებისათვისა» სულაც არ ნიშნავს იმას, რაც ჩვენ გვგონია. საკმარისია, ვინმე სირიელი ან ალბანელი, მაჰმადიანი დასახლდეს ქაიროში, რომ მეორე დღესვე დაიწყოს მოქმედება და მიმჩნეულ იქნას ეგვიპტელ ნაციონალისტად. ეს იქიდან წარმოდგება, რომ ისლამს ისევე ნათლად ქონდა წარმოდგენილი თავისი ტერიტორიალურის ერთიანობის აზრი, როგორც რელიგიურის. მის თვალში ყველა ის ქვეყნები, სადაც მუსულმანები სუარბობენ, «დარ-ელ ისლამია» (ისლამის სისხლი), რომელიც მუსულმანების საერთო ქონებაა და რომელიც ყოველი მუსულმანი მოვალეა დაიცვას. ამიტომაც არის, რომ უცხოელის ყოველივე შეხება რომელისავე მუსულმანურ ქვეყნისა იმწამსვე იწვევს რაც გინდა შორეულ ქვეყნისა და რაც გინდა ქონებრივ ინტერესს მოკლებულის მუსულმანის წყრომასა და პროტესტს.

პანისლამური ნაციონალიზმი შედარებით ახალი მოვლენაა და მისი შინაარსი ვერ არის ჯერ კარგათ გარკვეული. მიუხედავად ამისა ის თავს იჩენს მთელს სამუსულმანოში. ნაციონალიზმი ახალი სახეა მაჰმადის რჯულისა, რომელიც ევროპიულ ცივილიზაციასთან შეხებამ არათუ არ შეარყია, არამედ შემატა რელიგიური აღტაცება. ამ რიგად ისლამური ნაციონალიზმი შეიძლება განდეს მომავალში ერთი უდიდესი ძალთაგანი და მოითხოვოს დიდის ანგარიშის გაწევა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი
(ქუნალ-განკეთებიდან)

ამაწლის თებერვლიდან კვლავ დაიწყებს მუშაობას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელშიაც იქნება შემდეგი ფაკულტეტები: 1) ფიზიკურ-მათემატიკური, 2) საბუნებისმეტყველო, 3) ისტორიულ-ლიტერატურული (ქართული და ფილოსოფია, ენა და ლიტერატურა—ქართული, რუსული და უცხო), 4) ეკონომიური და 5) საბჭოთა მშენებლობის და სამართლის. სტუდენტთა რიცხვი ამ წლისთვის (I და 2 კურსი) განსაზღვრულია 1800 კაცით.

ამავე დროს ქუთაისში გადატანილ იქნება პედაგოგიური ინსტიტუტი შემდეგი ფაკულტეტებით: 1) ფიზიკო-მათემატიკური, 2) საბუნებისმეტყველო, 3) ისტორიულ-ლიტერატურული (ქართული და რუსული სექცია) და 4) პედაგოგიური. მოსწავლეთა რიცხვი წლის განსაზღვრულია 700 კაცით.

— დაარსდა კოლეჯია საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსაცემად ქართულ ენაზე. კოლეჯიის წევრები არიან: მ. ტოროშელიძე, კ. ორჯონიკიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ს. თოდრია, ნ. მარი და სხვ.

— დაარსდა უმაღლესი საარქიტექტურო საბჭო ქალაქების მშენებლობის სახელმძღვანელოთ შემდეგი შემადგენლობით: თავმ. ფ. მახარაძე, წიგნები—არქ. კალგინი, იაკ. ნიკოლაძე, შ. ნუცუბიძე, ა. დუდუჩავა, ინჟ. ვ. ქურდიანი, ინჟ. პეგუშინა, არქ—ბი თავაძე, მერაბიშვილი და შავიშვილი.

— განათლების კომისარიატთან დაარსდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო ხუთ სექციად: სოციალ-ეკონომიური, სამეცნიერო პედაგოგიური, საბუნებისმეტყველო და ფიზიკო მათემატიკური, მედიკო-ბიოლოგიური და ნაც. უმცირესობათა განათლების სექცია. საბჭოს პრეზიდიუმს შეადგენენ: ი. ვაწყაძე (თავმ.), ი. ბერიტაშვილი (მოადგილე), მ. ტოროშელიძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ახვლედიანი, გ. ვაჭაძე, შ. ნუცუბიძე, პ. შარია, გ. კვიციანიძე, კ. ჭკუასელი, შ. სისხარულიძე და გ. გოგუაძე.

— საქ. სახალხო კომისრად დაინიშნა ანდ. დოლიძე, ხოლო ფინანსთა კომისრად აკ. თათარიშვილი და კომისართა საბჭოს თავ. მოადგ. ა. ყოყიკაშვილი.

— კომუნალური მეურნეობის კომისრად ნაცვლად ესტ. მალრაძისა დაინიშნა თ. ლლოტი.

— თიანეთის რაიონში აღმოჩნდა ლიტოგრაფიული ქვის მდიდარი საბადოები.

წაკლილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო,

გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი ჩემი განცხადება:

მე 1927 წ. მივედი რუსების საკონსულოში თხოვნით, რომ მოეცათ ჩემთვის ნებართვა სახლში დაბრუნების.

მპირდებოდენ, რომ ჩემს სახლში დაბრუნებას არავითარი დაბრკოლება არ გადაელოდება წინ.

მიუხედავად ამისა ეს არ ასრულდა და გამოიჩვენა, რომ მათ უნდოდათ ჩემი გამოყენება მათი მიზნებისათვის გ.პ.უს. დაწესებულებებში სამუშაოთ.

მე უარი განვაცხადე ასეთ პირობებში დაბრუნებაზე და ვწყვეტ მათთან სიარულს და ყოველგვარ კავშირს.


გ. თაყაიშვილი.

პრალა. 26 დეკ. 1932 წ.

.....

რედაქციის ფდსტა: ა. სალოვკელს.

«დამ. საქართ.» ლექსებს არ ბეჭდავს.



დაისტამბა და იყიდება

ხელღვნიებისა და მეცნიერების კრებული:

„**კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი**“

(წიგნი მერვე)

წიგნი მოთავსებულია საყურადღებო წერილები, მრავალი სურათი, შეიცავს 224 გვ. და ღირს 15 ფრ.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:

V. N O Z A D Z E

126, Av. Émile Zola. Paris. (15)